# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი. 2023 წ. №115 (9647) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## უნდა გადარჩე, იერუსალიმ!!!

# ისრაელისა და „ჰამასის“ ომი



პალესტინელთა რადიკალური მოძრაობა „ჰამასის“ ისრაელზე თავდასხმის შემდეგ უკრაინა ახალი გამოწვევის წინაშეა – მოახდენს თუ არა გავლენას ახალი შეიარაღებული კონფლიქტი დასავლეთის დახმარებაზე, რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომში? რუსეთში დარწმუნებული არიან, რომ კი...

იხ. 8 გვ.

## SOS!

### უსამშობლო თაობა!



იხ. 4 გვ.

# ბაქო ანაკლიის ნავსადგურით ინტერესდება

იხ. 6 გვ.

## ავტორიტეტები მოკლეს და გზა თინა შარაშიძეებს დაუთმეს!..



5

# ვლ. პუტინი: მე განახებთ, რას ნიშნავს მეორე ფრონტის გახსნა!

## ვიტვირთოთ ლოდი, ვიწვნიოთ შოლტი, ჩავყლაპოთ ზიზღი, რომ... საქართველო გახდეს კუთვნილის ღირსი!

5

### სოსო მანჯავიძე:

# ანაკონდას რკალის სტრატეგია



იხ. 3 გვ.

საზღვაო ცივილიზაციით სახმელეთო ცივილიზაციის მოგუდვა გეოპოლიტიკაა და აქ პოლიტიკური პიტბულების ყოლა სავსებით გასაგებია

## ძაღლები ისევ იღრინებიან!

### დავით კუხალაშვილი:

## როდესაც სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩის სადაზვერვო ქმედებები გამოკვეთილია, ვფიქრობ, საფრთხე რეალურად არსებობს

7

### ვანო ჩხიკვაძე



9

## თვალი მხედველი

# საქართველო – უნგრეთი, შეხვედრა პირისპირ



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა.**

პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც საქართველოში ვიქტორ ორბანის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, განიხილეს საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული მჭიდრო პარტნიორობა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ერთობლივი ძალისხმევით ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც ვიზიტების რეგულარულ გაცვლას და დარგობრივი კავშირების გაფართოებას მოიცავს.

მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოში მთავრობათაშორისი სამიტის გამართვა ბუდაპეშტში საქართველოსა და უნგრეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელმოწერილი დეკლარაციის პრაქტიკაში განხორციელების ნაწილია.

ევროინტეგრაციაზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო შეუქცევადად მიჰყვება ევროპულ გზას. მან ამ გზაზე საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიმოიხილა. ღარიბაშვილის თქმით, მთავრობამ უზრუნველყო 12 პრიორიტეტის შესრულების ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, ხოლო წლის ბოლოს ქვეყანა ევროკავშირისგან სამართლიანი და დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მოლოდინშია.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ვიქტორ ორბანმა კავკასიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის მიმდინარეობის დინამიკაზე იმსჯელეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ ინიცირებული ფლაგმანური პროექტების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სრული პოტენციალის რეალიზაციისთვის და ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით საერთო მიზნების მიღწევაში.

## ვიქტორ ორბანის დახვედრის ოფიციალური ცერემონია

**მთავრობის ადმინისტრაციაში უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. დახვედრის ცერემონიაზე შესრულდა უნგრეთისა და საქართველოს ეროვნული ჰიმნები.**

დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ შედგა ირაკლი ღარიბაშვილისა და ვიქტორ ორბანის პირისპირ შეხვედრა.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში შედგა საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა, რომლის შემდეგაც მემორანდუმებზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. გარდა ამისა, საქართველოსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრებმა მედიისთვის ერთობლივ განცხადებები გააკეთეს. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოს 10 ოქტომბერს ეწვია. უნგრეთის პრემიერი თბილისში მეუღლესთან, ანიკო ლევაისთან ერთად ჩამოვიდა.

## ილია დარჩიაშვილი: საქართველოში ვიქტორ ორბანის ვიზიტი ძალიან ღირებულ შედეგს მოიტანს ჩვენი ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დღეს საქართველოში ვუმასპინძლოთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, რომელიც საქართველოში ჩამობრძანდა მთავრობის შემადგენლობით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მჭიდრო და სტრატეგიული თანამშრომლობის ახალი ფაზა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ და რომელსაც დამატებითი იმპულსი მისცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უნგრეთში ვიზიტისას, გრძელდება.არის ძალიან ძლიერი გზავნილი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით.

**„ვიზიტისას გაიმართება სამთავრობოთაშორისო შეხვედრა მინისტრების მონაწილეობით, რაც გააძლიერებს ორ შესაბამის კოლეგა-უწყებებს შორის თანამშრომლობას და ახალ იმპულსს მოიტანს სამთავრობო თანამშრომლობის მიმართულებით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უნგრეთის მხარდაჭერა, როდესაც საკითხი ეხება ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას. უნგრეთი ყოველთვის იყო, არის და აუცილებლად იქნება მომავალშიც ჩვენი მხარდამჭერი. ჩვენ ორმხრივ ფორმატში ვმუშაობთ ძალიან აქტიურად ევროკავშირთან, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას და მობილიზებას ჩვენი მეგობრებისა და პარტნიორებისა იმ მიმართულებით, რომ ინდივიდუალურად არის საჭირო ჩვენთვის კონკრეტული ქვეყნის ერთი ხმა, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორმხრივ ფორმატებში შესაბამისი წევრი ქვეყნების მობილიზება ამ მიმართულებით“**, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

დარჩიაშვილის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ასევე გაფორმდება მემორანდუმები ორი ქვეყნის უწყებებს შორის.



## ვლ. პუტინი: მე განახებთ, რას ნიშნავს მეორე ფრონტის გახსნა!

### ვის მიერ იყო ინსპირირებული ისრაელ-პალესტინის ომი?!

**ისრაელ-პალესტინის ომის გამომწვევ მიზეზებსა და წამქეზებლების როლზე წერს სოციალურ ქსელში საკუთარ მოსაზრებებს „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი.** როგორც ის ამბობს, ვერსიებს, რომელსაც ასახელებს, აქვს არსებობის უფლება.

**„გრძელდება ისრაელ-პალესტინის ომი და პასუხგაუცემელი რჩება ბევრი შეკითხვა. მთავარი, ვის მიერ იყო ინსპირირებული და რა მიზნით. ისე გამოდის, რომ ცალკეულ კომპონენტებში ძალიან ბევრი აქტორების ინტერესებში შედის ყოველივე ეს. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, გავრისკავ განვიხილოთ რუსეთის სავარაუდო ინტერესების ფაქტორი:**

**„მეორე ფრონტის“ გახსნის მცდელობას რუსეთის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა მოლდოვაში, საქართველოში, ზოგადად სამხრეთ კავკასიაში. აკვიატებულად იკითხება ვერსია: „მე მიხსნიდით მეორე ფრონტს? მე განახებთ – რას ნიშნავს ასეთი ფრონტის გახსნა!“. დღეს ახლო აღმოსავლეთის ამ „ხაფანგში“ გაბმის რეალური შანსი აქვს აშშ-საც, ბრიტანეთსაც, გერმანიასაც და საფრანგეთსაც.**

**აფეთქებული ახლო აღმოსავლეთი დამატებით შესაძლებლობებს ანიჭებს რუსეთს უკრაინის ფრონტზე და უკრაინის მეკავშირეების მხრიდან მისი მისამართით ყურადღების გარკვეულწილად მოდუნების თვალსაზრისითაც მომგებიანია.**

**დატოვებდა თუ არა რუსეთი უპასუხოდ „ჩრდილოეთ ნაკადის“ ორივე მილსადენის მწყობრიდან გამოყვანას ტერორისტული აქტის შედეგად? ალბათ არა და დღეს „აფეთქებულია“ აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ არსებული სატრანსპორტო-ენერგეტიკული მარშრუტი: „ინდოეთი-ევროპა“, რომელიც გადის მათ შორის ისრაელზე.**

**გაჟღერდა თუ არა ამა თუ იმ დონეზე ვერსია, „ჰამასის“ იარაღით მომარაგების „უკრაინულ კვალზე“? კი ბატონო – რუსეთს ამ გაჟღერებული ეჭვების (მათ შორის აშშ-ის კონგრესიდან) კომპონენტში („ჰამასის“ იარაღით მომარაგების ნაწილში) „ალიბი“ უჩნდება.**

**ჰქონდა, თუ არა ადგილი ისრაელის „მაიდანიზაციის“ ამერიკულ მცდელობას სასამართლო რეფორმის ირგვლივ? კი ბატონო, აქაც ეძლევა რუსეთს ომის გაჩაღების სავარაუდო ინიციატორისკენ ხელის გაშვერის საშუალება.**

**ჰქონდა, თუ არა ომის დაწყების წინ ადგილი სერგეი ლავროვის შეხვედრას „ჰამასის“ ლიდერთან? ინფორმაციის ღია წყაროები ამას ადასტურებენ.**

**დაადასტურა თუ არა რუსეთის პრეზიდენტმა თავის ერაყელ კოლეგასთან ქვეყნის ოფიციალური პოზიცია ამ ომთან დაკავშირებით? კი ბატონო – „უნდა შეიქმნას პალესტინის სახელმწიფო“. როგორც აქამდე განვიხილეთ ესა თუ ის ვერსია, აქაც არანაირ საექსპერტო მოსაზრებებზე პრეტენზია არ მაქვს, ვინაიდან ექსპერტს არ წარმოვადგენ, მაგრამ ანალიტიკური მსჯელობის დონეზე ჩემს მიერ მოყვანილ ჩამონათვალს, ალბათ აქვს ლოგიკური დაშვების უფლება...**



**დავით ქართველიშვილი.**



## ჩინეთთან უვიზო მიმოსვლა ქართველთა სიკვდილის განაჩენია!

### ნათელაშვილმა მთავრობას სასამართლოში უჩივლა

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მთავრობას სასამართლოში უჩივლა. პოლიტიკოსი ასაჩივრებს მთავრობის გადაწყვეტილებას ჩინეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ცალმხრივად დაწესების თაობაზე. ნათელაშვილი გადაწყვეტილების შეჩერებას მოითხოვს.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის განმარტებით, საქართველო „დაცლად საელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა და ამგვარ კრიზისულ დემოგრაფიულ ვითარებაში უზარმაზარ სახელმწიფოსთან უვიზო კავშირი სახიფათოა.

**„ჩვენი ხალხი უდიდეს პატივს სცემს ჩინურ კულტურას, ჩინელ ხალხს, ცივილიზაციას, მაგრამ მილიარდნახევრიანი ქვეყნისთვის ასეთ დაცლად სახელმწიფოში უვიზო რეჟიმის შემოღება გამოტანილი განაჩენია ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და მომავლის წინააღმდეგ. ამას ემატება არასტაბილური რუსეთისა და ირანისათვის უვიზო რეჟიმი და ძალიან მალე შეიძლება დადგეს დრო, როდესაც აქ სხვა ხალხის ჟრიამული იქნება და მოგონებად დაგვრჩება საქართველო“**, – განაცხადა სარჩელის წარდგენის შემდეგ ნათელაშვილმა და დასძინა, „აი, საკუთარი ბიზნესინტერესებისთვის სადამდე შეიძლება წავიდეს ოლიგარქი, რომელსაც არაფერი წმინდა არ გააჩნია“.

საქართველომ ჩინეთთან სავიზო რეჟიმი მიმდინარე წლის სექტემბერში გააუქმა. გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო. მან მთავრობის სხდომაზე თქვა, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება საქართველოს ტურიზმის სფეროს და ეკონომიკას დაეხმარება.

მოგვიანებით საკითხზე განმარტება გააკეთა ეკონომიკის მინისტრმა, რომელიც ამბობს, რომ ჩინელ ტურისტებს საქართველოში უვიზოდ მოგზაურობა 30 დღის განმავლობაში შეეძლებათ: **„30 დღის განმავლობაში ჩინეთის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველო უვიზოდ მოინახულონ, ტურიზმის კუთხით ეს სრულიად მისაღები ციფრია.“**

**ბოლო ორი წლის განმავლობაში – 2021-2022 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა 87 222 ადამიანი. 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით კი საქართველო დატოვა და უკან აღარ დაბრუნებულა დაახლოებით იმდენივე ადამიანი, რაც მის ერთ რეგიონში – შიდა ქართლში ცხოვრობს (244 966). საქართველოდან გასულთა მონაცემებს ყოველ წელს საქსტატი აჯამებს. რიცხვები აჩვენებს, რომ პანდემიის შემდეგ საქართველოდან იმაზე ორჯერ მეტი ადამიანი გადის სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად, ვიდრე უკან ბრუნდება ემიგრაციიდან.**

**2023 წლის მარტში NDI-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ ქვეყნიდან წასვლაზე საქართველოში ყოველი მეექვსე ადამიანი ფიქრობს.**

**მათი რიცხვი კი, ვისაც ოჯახის ერთი წევრი მაინც ჰყავს საზღვარგარეთ და მისი გამოგზავნილი ფულით ინახავს ოჯახს, 2019 წლის ივლისიდან 2023 წლის მარტამდე 12-დან 16%-მდე გაიზარდა.**

# სოსო მანჯავიძე:
# ანაკონდას რკალის სტრატეგია

**საზღვაო ცივილიზაციით სახმელეთო ცივილიზაციის მოგუდვა გეოპოლიტიკაა და აქ პოლიტიკური პიტბულების ყოლა სავსებით გასაგებია**



**არეულობის სცენარი, რომელიც საქართველოში ოქტომბერ-დეკემბერში იგეგმება, ასეთია – კანდიდატის სტატუსზე უარის შემთხვევაში, თბილისში კარვების ქალაქი უნდა მოეწყოს, სადაც მოხდება აფეთქება და იქნება მსხვერპლი. არეულობის ორგანიზატორები არიან უკრაინის დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე გია ლორთქიფანიძე და ქართველი მებრძოლები: მიხეილ ბატურინი და მამუკა მამულაშვილი. გამოძიება გრძელდება, შესაბამისად, არ არის გამორიცხული „კანვას საქართველოს“ და იგივე სერბი ტრენერების მიმართ მოხდეს ბრალდების წარდგენა.**

**რაც შეეხება საქართველოში მოქმედ პოლიტიკოსებს, არსებული ინფორმაციით, გამოსაკითხთა სიაში არიან პოლიტიკოსებიც. პოლიტოლოგ სოსო მანჯავიძის განცხადებით, სუს-ის ინფორმაცია სერიოზული მოვლენაა, თუმცა არა მოულოდნელი, რადგან რადიკალური ძალები გეგმავენ „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის მომზადებას, რაზეც პირდაპირ ეთერში საუბრობენ. შესაბამისად, მანჯავიძე აცხადებს, რომ სახეზე გვაქვს ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით ცვლილების მცდელობა, რაც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.**

დღეს სოსო მანჯავიძე გვესაუბრება.

**– საქართველოს მოქალაქეები მძიმედ აღიქვამენ არათანმიმდევრულობას, რომელიც თუნდაც ამ საკითხში აქვს ხელისუფლებას, რომელიც მუდმივად ქმნის დესტაბილიზაციის საფრთხეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ?**

– სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად, რაც მდგომარეობს რევოლუციის არდაშვებაში. საქართველოში რევოლუცია და არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლა, ეს ნიშნავს ქვეყანაში ისეთი დეზინტეგრაციული პროცესებისა და სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებას, რომელიც გამოიწვევს ამ ქვეყნისთვის კატასტროფულ შედეგებს. საქართველოში უკვე არსებობს პრობლემები, არა მხოლოდ ნახევრად აღიარებული სეპარატისტული რეგიონები, არამედ ის შიდა საფრთხეები, რომელიც განპირობებულია მისი აგებულებით და კიდევ ის გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელიც ჩვენს მიმართ აქვს სამეზობლოს.

აქედან გამომდინარე, ეს განუწყვეტელი წაქეზება რევოლუციისკენ, რომელიც ჩვენ გვესმის ამერიკული მხრიდან, არის პირდაპირი მტრობა. ადამიანებმა, რომლებმაც იციან ეს გეოპოლიტიკური კონტექსტი, იციან რა საფრთხეებია, იციან რა შეიძლება ამას მოჰყვეს და მაინც, პირდაპირ ხელს უწყობენ ხელისუფლების არაკონსტიტუციურ ცვლას და რაც ყველაზე მთავარია, ამას არ მალავენ, ამაზე მეტი მტრობა რაღა უნდა იყოს?!



**– მეორე საკითხია, რა უნდათ, რატომ უნდათ ეს გააკეთონ? თუ მათი რიტორიკიდან ამოვალთ, ეს არის პრორუსული ხელისუფლება...**

– იმის თქმა, რომ ეს ხელისუფლება არის პროამერიკული, ან პრორუსული, აბსურდია. რა პრორუსულია, როდესაც მთავარი გაბატონებული დისკურსი სახელისუფლებო მედიებში ანტირუსულია. სად ნახეთ პრორუსული პროპაგანდა? მედია ხომ ინდიკატორია – ავიღოთ იგივე „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „რუსთავი-2“ და ვნახოთ, რა პროპაგანდა მიდის. ნუ, იმ „სახელოვან“ მედიებზე აღარ ვლაპარაკობ, იქ პირდაპირ უკრაინის დროშები აქვთ გამოფენილი და ვხედავთ რასაც ლაპარაკობენ და აკეთებენ ყოველ დღე. ამიტომ, პრორუსობაში საქართველოს დადანაშაულება შეუძლებელია.

**განუწყვეტელი წაქეზება რევოლუციისკენ, რომელიც ჩვენ გვესმის ამერიკული მხრიდან, არის პირდაპირი მტრობა. ადამიანებმა, რომლებმაც იციან ეს გეოპოლიტიკური კონტექსტი, იციან რა საფრთხებია, იციან რა შეიძლება ამას მოჰყვეს და მაინც, პირდაპირ ხელს უწყობენ ხელისუფლების არაკონსტიტუციურ ცვლას და რაც ყველაზე მთავარია, ამას არ მალავენ, ამაზე მეტი მტრობა რაღა უნდა იყოს?!**

იმის თქმა, რატომ არ იკავებთ რუსეთთან რადიკალურ პოზიციას და არ გადადიხარ პირდაპირ დაპირისპირებაზე, ეს ნიშნავს საყვედურს – რატომ ხარ ცოცხალი! ანუ, რატომ გინდა გააგრძელო არსებობა! ნებისმიერი ცოცხალი არსება და ცხვარი, რომ ცხვარია, ისიც კი ეწინააღმდეგება და არ უხარია, რომ კლავენ. ირქინება კიდეც. ზუსტად ეს ვითარება გვაქვს საქართველოში. მათ უნდათ საქართველოში ისეთი ტიპის მმართველობა დაამყარონ, რომელიც ბრძანება „ფასს“-ზე პირდაპირ პიტბულივით ეცემა ნებისმიერ ობიექტს, რაც არ უნდა დიდი იყოს. ანუ, შიშის და თვითგადარჩენის ინსტინქტი იქნება დაჩლუნგებული. ერთი ვარიანტი ეს არის და თუ ეს არ იქნება, მაშინ მეორე ვარიანტია ის, რომ მათ უნდათ აქ იყოს ქაოსი. შესაბამისად, ამ ქაოსის გავრცელება მოხდეს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკაზე.

**– რა დივიდენდები შეიძლება ჰქონდეს ამ არარეგიონალურ გეოპოლიტიკურ აქტორს და კერძოდ აშშ-ს საქართველოსთან დაკავშირებით?**

– ჩვენ ვიცით სომხეთის პროცესები, ფაქტობრივად, იქ რუსულმა საგარეო პოლიტიკამ განიცადა შემდგომი კრახი, ანუ, სომხეთი ფაქტობრივად გამოვიდა რუსული ორბიტიდან. არა თუ მარტო გამოვიდა, არამედ მიმდინარეობს საუბარი უკვე ოდეკაბედან გამოსვლისა და რუსული ბაზის სომხეთიდან გასვლის შესახებ. სხვა საკითხია რა მომავალს უქადის ეს თვითონ სომხეთს და რა არის ამის მიზეზები, მაგრამ ფაქტი სახეზე გვაქვს. ლოჯისტიკურად რომ ავიღოთ, სომხეთში დასავლეთი ვერ გააძლიერებს პოზიციებს, ვინაიდან სომხეთის მოსაზღვრე ერთი მხრივ არის ირანი, ხოლო თურქეთთან სომხეთის დამოკიდებულება ვიცით. თურქეთისა და რუსეთის დამოკიდებულებაც ვიცით.

ერთადერთი ლოჯისტიკური მხარე იმისთვის, რომ სომხეთი გადმოიყვანონ პროდასავლურ ორბიტაზე, არის საქართველო. აი, სომხეთის თავის ორბიტაზე ჩართვა და სამხრეთ კავკასიის გადაქცევა ანტირუსულ ფრონტად, ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული გეოპოლიტიკური გამარჯვება იქნებოდა. შესაბამისად, აქიდან გამომდინარეობს კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერება, რუსეთის მოქცევა რგოლში, ანაკონდას რკალით მისი მოგუდვა.

**– ეს პროცესები მარტო ჩვენს რეგიონში მიმდინარეობს?**

– არა, რა თქმა უნდა. ეს ბრძოლის ერთ-ერთი სეგმენტია და ეს ბრძოლა უკვე არის მთელი ევრაზიის მოგუდვა, შედენა მისი კონტინენტურ სიღრმეებში, შავ ზღვასთან მისი გასასვლელების შეზღუდვა და არდაშვება, რადგან მოგეხსენებათ ბალტიის ზღვაზე რაც ხდება. აი, ეს ანაკონდას რკალის სტრატეგია, ანუ საზღვაო ცივილიზაციის მიერ სახმელეთო ცივილიზაციის მოგუდვა, ეს კლასიკური გეოპოლიტიკაა უკვე. აქედან გამომდინარე, ეს მდგომარეობა და ეს უცნაური მისწრაფება, გინდა თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობაში იხილონ, ეს პოლიტიკური მარიონეტი – პიტბულები, ამ ლოგიკიდან სავსებით გასაგებია.

მათი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების საკამოდ სოლიდურ ნაწილს სახელმწიფო მმართველობასთან ერთად, ესმის ამის შედეგები. ესმის, რომ ამ სცენარის განხორციელების შემთხვევაში, თითოეული მათგანის კეთილდღეობას, თითოეული მათგანის შვილებს ემუქრებათ დაახლოებით იგივე, რასაც ვხედავთ უკრაინაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ადამიანს თვითშენახვის ინსტინქტი აქვს და ის ხედავს, რომ მიუხედავად იმისა, როგორი პოზიცია აქვს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან მიმართებაში, სიმპათია აქვთ, თუ ანტიპათია, ამ შემთხვევაში მათი ინტერესი ემთხვევა, რაც ამ სტრატეგიის განხორციელებისთვის პრობლემაა. ხალხი ამას მხარს არ უჭერს, გარდა პათოლოგიური შემთხვევებისა.

მეორე პრობლემა არის ის პერსონაჟები, ის პიტბულები, რომელთა ქცევა, სავსებით უღირსი და არაკომპეტენტური, მტრული ქართული ისტორიული ნარატივისა და ღირებულებისა, აბსოლუტურად მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის.

მესამე პრობლემა – თუ ამერიკელებს უნდათ აქ გადატრიალება, მათ ჰყავთ ოპონენტები თვითონ ამერიკაშიც, იგივე ტრამპის ხაზი არ გულისხმობს ასეთი სტრატეგიის განხორციელებას. მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი მოძველებული და დრომოჭმულია, ამავე დროს წამგებიანია აშშ-ისთვის და ევროპისთვისაც. ევროპას არ აწყობს სამხრეთ კავკასიაში მსგავსი პროცესების განვითარება, ვინაიდან სამხრეთ კავკასიას განიხილავს თავისი მომარაგების ერთ-ერთ ლოჯისტიკურ ჰაბად, რაც ასევე გასათვალისწინებელია.

და მეოთხე, რუსეთის და თურქეთის ფაქტორი, განსაკუთრებით რუსეთის, რომელიც სამეზობლოში ასეთ არეულობას, ფერად რევოლუციას, თუ სამხედრო გადატრიალების მცდელობას განიხილავს თავისი სასიცოცხლო ინტერესებისთვის საფრთხედ და დოქტრინაში უწერია, რომ ის ამ შემთხვევაში ჩაერევა სამხედრო საშუალებებით.

**– სამხედრო საშუალებები საქართველოსთან დაკავშირებით გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე იგივე სომხეთთან მიმართებაში...**

– რა თქმა უნდა, აგერ აფხაზეთში აქვთ სამხედრო შენაერთები და აქვთ პირდაპირი ხაზი, რითიც შეიძლება განახორციელოს სამხედრო ჩარევა, ასევე, მოგეხსენებათ, სააკაშვილის ვაჟკაცობის წყალობით, პირდაპირ შიდა ქართლში გვაქვს ორი სამხედრო ბაზა. საქართველოს საჰაერო სივრცე მთლიანად იფარება რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით და აქვთ ხმელეთზე უპირატესობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან შედარებით. აი, ეს ოთხი ფაქტორია ამის დამაბრკოლებელი და მთავარი, დღეს ქართული საზოგადოების ამოცანა არის ის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას არანაირი არეულობა ქვეყანაში და ხელისუფლების ვალდებულებაა მაქსიმალურად გააკეთოს ყველაფერი და გარდა ამისა, კვალიფიციურად მართოს ქვეყანა. უარი თქვას კოლონიალური პოლიტიკის ყურმოჭრილი მონის როლზე ეკონომიკაშიც, კულტურაშიც, განათლებაშიც და ქვეყანაში უზრუნველყოს ნორმალური საარჩევნო პროცესი ამ ბანდიტების, ყაჩაღების და უცხო ქვეყნის აგენტურის გარიცხვით პოლიტიკური ველიდან და ნორმალური პოლიტიკური ძალების აღმოცენებას შეუწყოს ხელი, რაც სხვათა შორის, მისი ვალდებულებაა და კვლავ ფსონს ნუ დებს იმაზე, რომ აბსოლუტურად ბოროტი „ნაციონალური მოძრაობის“ ფონზე გაიბრწყინოს თვითონ და კვლავ კოლექტიური წითლიძეები და სამნიძეები ვიხილოთ პარლამენტში. ეს სამარცხვინო სანახაობა არ უნდა გაგრძელდეს ქვეყანაში, აი, ეს არის ხელისუფლების ვალდებულება.

ესაუბრა
**თამარ ქარჩაიძე**

## ქართველმა სამხედროებმა სამმხრივ სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა

**საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა ETERNITY 2023-ში მიიღეს მონაწილეობა. სამეთაურო-საშტაბო სწავლება საველე წვრთნებით ბაქოში ჩატარდა და მასში საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო მოსამსახურეებმა, ასევე საქართველოს შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სწავლება მიზნად ისახავს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი), ასევე რეგიონის ეკონომიკური პროექტების დაცვას.

სწავლება სამი ქვეყნის სამხედროებს შორის კოორდინაციას, გამოცდილების გაზიარებას, ასევე ერთიანი სამოქმედო გეგმის შექმნასა და ნატოს დაგეგმარების პროცესის მიხედვით აღსრულებას გულისხმობს. სამმხრივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება ქვეყნების მონაცვლეობის პრინციპით 2000 წლიდან იმართება. წელს ETERNITY 2023-ს აზერბაიჯანის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის სამხედრო მართვის ინსტიტუტის საომარი თამაშების ცენტრმა უმასპინძლა.



SOS! – უსამშობლო თაობა!



# ვინ არის გოგონა, რომელმაც ყველას თვალწინ საფლავი წაბილწა?!

**ახლახან სოციალურ ქსელში ელვასავით სწრაფად გავრცელდა სასაფლაოზე გადაღებული უდიდესი საშინელებისა და ცოდვის ამსახველი ვიდეო და ფოტომასალა: ახალგაზრდა გოგონა იხდის საცვალს, საფლავზე აშარდავს, შემდეგ კი ენას გამოყოფს და იცინის...**

**სიმართლე გითხრათ: შემეშინდა.**

შემეშინდა თვით ამ გოგონასი, მისნაირი ადამიანების, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და ფაქტობრივად, ადამიანური არაფერი არა აქვთ, გარეგნობის გარდა...

სასაფლაოზე მოშარდვის მკრეხელურ ამბავს ახალგაზრდების სატანური როკვა უძღოდა წინ მთავრობის სასახლესთან გამართული აქციების დროს, სატანის სულჩასახლებულებს ეგზორციზმს რომ უტარებენ და შეპყრობილები რომ იკლაკნებიან, ისეთი ცეკვების და მოძრაობების მომსწრე გავხდით რუსთაველზე არაერთხელ. ცხრა აპრილის მემორიალის თავზე რომ ნახევრადშიშველი გოგო იგრიხებოდა, ეს თურმე დასაწყისი იყო, გაგრძელებად კი გარდაცვლილი წინაპრის საფლავის შებილწვა და შეურაცხყოფა მივიღეთ.

ამ ყველაფერში კი ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალგაზრდა ამ საქციელს სრულიად უცნობი ადამიანის საფლავზე სჩადის და არა ისეთი ვინმესი, რომელსაც იცნობდა და რაღაცის გამო სამაგიეროს გადახდა უნდა, არა, უცხო ადამიანის საბოლოო განსასვენებელს შეურაცხყოფს ასე უმოწყალოდ.

ფოტო და ვიდეოკადრებში სასაფლაოზე მშარდავი „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი, ე.წ. „ახალგაზრდული" აქციების აქტიური მონაწილე, პატიმარი ექსპრეზიდენტის დედის გიული ალასანიას ხელშეწყობით დაარსებული ფრანკლინის კლუბის აქტივისტი **თინა შარაშიძე** აღმოჩნდა.

„წმინდა მიშიკოს" მხარდამჭერები კი იმ საავადმყოფოსთან იკრიბებიან, საიდანაც ვერა და ვერ გადაათრიეს საპატიმროში სიმულიანტი ექსპრეზიდენტი, რომელსაც ხან დემენცია აქვს, ხან – ფაღარათი, ხან დიეტაზეა და ხან ჰორმონებს იშოშმინებს ამძუნებული ქალების თანხლებით...

ამ არსების ხელით განხორციელებულ საშინელებებს არ უჩანს ბოლო საქართველოში, ხოლო უკვე სექტანტებად ქცეული მისი მხარდამჭერები ბღავილით მისდევენ ჯოჯოხეთისკენ ამ „მაოხრებელ გზირს"...

ე.წ. ჯენზი თაობის წარმომადგენლები კი, თითქოს სპეციალურ საინკუბაციო კამერაშიო, ისე გამოხტებიან ხოლმე დროდადრო ხან ლგბტ წარმომადგენლის სახით და ხან ვითომ პროგრესული და განათლებული თანამემამულის იმიჯით, რომელიც, სინამდვილეში, მხოლოდ ნეოლიბერალიზმის ნაყოფია...

ადამიანების გასაღიზიანებლად, ტრადიციების დასამცირებლად, ანუ წინაპრების უარყოფისთვის ებრძვიან ეკლესიას, უარყოფენ ყველაფერს იმას, რაც ქართველებს წმინდად მიგვაჩნია; ესენი არიან მტრები, რომელთანაც ფერმკრთალდება ყველა დამპყრობელი, რომელიც საქართველოს მისი არსებობის ისტორიაში ჰყოლია თვით ბოლშევიკების ჩათვლით.

**და რა ჰქნას ვინმე თინა შარაშიძემ?**

# ავტორიტეტები მოკლეს და გზა თინა შარაშიძეებს დაუთმეს!..

დაკარგული ადამიანია საბრალო თინა, დაკარგული აქვს ბავშვობა და ახალგაზრდობა, დაკარგული აქვს ყმაწვილური ბედნიერება, რადგან შეუძლებელია, შებილწული სული სხეულმა დიდხანს ატაროს – ფიზიკის კანონების მიხედვით, უსუფთაო შიგთავსი შიგნიდან ჭამს ჭურჭელს, ანგრევს და ანადგურებს მას...

მაგრამ სწორედ ესაა ვიღაცის თუ ვიღაცების სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი სულიერად დაავადებული ადამიანი არსებობდეს, მალე განადგურდეს და ამოიჟლიტოს ღვთის ხელით შექმნილი და მის ხატად არსებული ადამიანი...

ასეთი თაობები გამოიზარდა სააკაშვილის და მისი მხარდამჭერი ქართული ლიბერალური ელიტის მიერ და კიდევ რა საშინელება უნდა მოხდეს, რომ ეს უბედური ულტრალიბერალი, სინამდვილეში, უკმარისობის კომპლექსებით დატანჯული ნეობოლშევიკები რომ გონზე მოვიდნენ, სანამ მათ საფლავებსაც არ დააშარდავს ან სხვა რამეს უზამს გონება და ორიენტაციაარეული ვინმე სხვა თინა?...

* * *

ამასწინათ ხელში 1987 წელს შედგენილი მაიკლ სვიფტის „სექსუალური უმცირესობების საერთაშორისო ორგანიზაციის" მანიფესტი ჩამივარდა, რომლის ნაწყვეტი ასე გამოიყურება:

„ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებებისა და ჩვეული სიცრუის სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ მათ ვაცდუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოთეატრების ტუალეტებში, სამხედრო ყაზარმებში, ოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს...

**ქალებო, თქვენ ამბობთ, რომ კაცებთან ცხოვრების ნაცვლად ერთმანეთთან ცხოვრება გსურთ. მაშინ, მიდით და იცხოვრეთ ერთმანეთთან. ჩვენ მივანიჭებთ თქვენს კაცებს მათთვის აქამდე არნახულ სიამოვნებას, იმიტომ რომ ჩვენ თვითონაც უპირველესად მამაკაცები ვართ, და მხოლოდ მამაკაცმა იცის, თუ ჭეშმარიტად როგორ ასიამოვნოს მეორე მამაკაცს. მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ჩასწვდეს მეორე მამაკაცის გრძნობებისა და განცდების სიღრმეს, გაუგოს მის გონებასა და სხეულს.**

ყველა კანონი, რომლებიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. ამის ნაცვლად მიღებული იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ყველა ჰომოსექსუალისტმა მხარი მხარს უნდა მისცეს, როგორც ძმებმა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით.

თუ თქვენ გაბედავთ და გვიწოდებთ ჩვენ გეებს ან პედერასტებს, ჩვენ განვგმირავთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს მკვდარ უგადრუკ სხეულებს.

..ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს, დაიხურება...

ჩვენი მომავალი დახვეწილი საზოგადოების მართვას განახორციელებს ელიტა, რომელიც შედგება პოეტი-გეებისგან.

**...ჩვენ გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ ჩვენ გვამოძრავებს დაჩაგრულთა მწარე ტანჯვა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იძულებულნი არიან, ითამაშონ საცოდავი, მეორეხარისხოვანი როლი თქვენს უგემოვნო ჰეტეროსექსუალურ შოუში. ჩვენც შეგვიძლია იარაღის სროლა და ბარიკადების აღმართვა. იკანკალეთ ჰეტერო ღორებო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე".**

* * *

ეს არის სექსუმცირესობების ე.წ. მანიფესტის ტექსტის ნაწყვეტი, რომელიც ცხადყოფს ლიბერალური იდეოლოგიის მთელ ბუნებას, იმას, თუ როგორაა მოდებული სულიერი ონკოლოგია მთელ მსოფლიოზე და როგორ უნგრევს კარს ჩვენს ოჯახებს და მომავალს გადაგვარების ეს სასტიკი საფრთხე.

ვრცელდება ინფორმაციები, რომ ნორვეგიაში ასობით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ინცესტის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ აკრძალა ბავშვების გაშვილება ქრისტიანებზე, რადგან ქრისტიანებს



აქვთ ტრადიციული დამოკიდებულება სექსუალურ ეთიკაზე. მათი შეხედულებები მავნედ მოქმედებს ბავშვებზე. ბრიტანეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქრისტიანობა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისთვის. მეტიც, საშიშია ბავშვებს ჰყავდეთ ქრისტიანი მშობლები. შვეციის პარლამენტმა მიიღო კანონი ერთნაირსქესიანი ოჯახების მრავალჯერად განაყოფიერებაზე სახელმწიფოს ხარჯზე...

ჰოლანდიის ტელევიზიამ პირდაპირ ეთერში აჩვენა, როგორ წვავდნენ და მიირთმევდნენ გადაცემის წამყვანები ერთმანეთის ხორცს, რომელიც გადაცემის დაწყებამდე მოაჭრეს მათ.

სხვადასხვა ქვეყნებში და ახლა უფრო მასიურად უკრაინიდან ასობით ახალშობილი და მცირეწლოვანი იკარგება უკვალოდ. იქმნება ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა გაშვილებას უცხოეთში. ხშირია ახალშობილების ავადმყოფად გამოცხადების შემთხვევები, თითქოს ისინი ბუნებრივი ნაკლით, ან მკვდარი დაიბადნენ.

აშშ-ში კი ოფიციალურად არის დარეგისტრირებული 200 000 ავადმყოფი, რომლებიც წლების განმავლობაში ელოდებიან ბავშვების ორგანოებს და მზად არიან, გადაიხადონ ამაში ასი ათასობით დოლარი.

* * *

საქართველო რომ დაუნდობლად დაშლილი და ოკუპირებულია, ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ ტერიტორიული ოკუპაცია რომ წუთით დავივიწყოთ, უხილავი ხელით ვიღაცისგან ქართული მოსახლეობის, საქართველოს მომავალი თაობის ხრწნა და გადაგვარება რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობს, ეს ოკუპაციაზე ნაკლები უბედურება არ გახლავთ!

პროცესი კი გრძელდება და ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობენ ე.წ. „ჯენზი" თაობის ტრანს, ბი, ლესბო, ჰომო და სხვადასხვა მიმართულების სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, რომლებსაც ბუზი რომ აუფრინო, საქართველოში ჩაბუდებული არასამთავრობო ლიბერალური არმია ლამის სასიკვდილო განაჩენს გამოგიტანს...

დღევანდელი და თუნდაც გუშინდელი რუსეთი უცოდველი კრავია იმ თვალით უხილავ ძალებთან შედარებით, რომელთა პარადიგმიდანაა სასაფლაოზე მშარდავი თინა შარაშიძეები, მამამისის უკანალში დამჭრელი ლაზარე გრიგორიადისები, ცხრა აპრილის მემორიალის თავზე ამხტრები და იქ ჭინკებივით მოხტუნავენი, უნიტაზის მწერლები და სხვ., რომლებიც, თითქოს საქართველოში სხვა ავტორიტეტები არ არსებობდნენ, დღესდღეობით ქართული ტელევიზიების ვარსკვლავები არიან. ტელევიზიების, რომლებიც ე.წ. დასავლური ცხოვრების პროპაგანდას ეწევიან.

კარგად გავიხსენოთ გამონათქვამი: „ვინც ფულს იხდის, მუსიკას ის უკვეთავს"!

დიახ, სწორედ იმ ვიღაცის უხილავი ხელი უკვეთავს „მუსიკას", რომ კარგად დაფინანსებული ტელევიზიების ეკრანებზე არ უნდა გამოჩნდნენ ჭკუასაკითხავი, ცხოვრებაგამოვლილი, ღვაწლმოსილი, დაფასებული ადამიანები...

ავტორიტეტები მოკლეს.

ავტორიტეტები გაანადგურეს სულიერად და ფიზიკურად და გზა თინა შარაშიძეების მსგავსებს დაუთმეს...

**შემაძრწუნებელი იყო ახალგაზრდა, ლამაზი გოგო ტრუსიკჩახდილი, სასაფლაოზე მშარდავი, ენაგადმობდებული, ირონიული სიცილით...**

**ამიტომ ახლა უზნეო ექსპრეზიდენტის ფურთხის ანალიზი კი არაა მთავარი, არამედ საფლავების მგილწავი, წინაპართა შეურაცხმყოფელი, სიტყვა სამშობლო რომ სასაცილოდ მიაჩნიათ, იმ მომავალი თაობების სულების გადარჩენისთვის გვაქვს ბრძოლა მოსაგები, ბავშვების სულებისთვის, იმ საფლავებს რომ ბილწავენ, ჩვენ რომ სანთლებით მივდივართ და მოწიწებით ვლოცულობთ...**

**ირანდა კალანდაძე**

## ბესო ორთოიძე:

# ეს პრობლემა ოდენ საქართველოს არ აწუხებს!

### უძრავი ქონება ძველებურად ველარ იყიდება, ფასებმაც რყევა დაიწყო

**ბინები ძველებური ტემპით ველარ იყიდება, თვიდან თვემდე რეალიზაციის მხრივ კლებაა. მიუხედავად ამისა, უძრავ ქონებაზე ჯერჯერობით მაღალი ფასი ნარჩუნდება, თუმცა ძველ აშენებულ კორპუსებში გაიაფების ტენდენცია უკვე შეინიშნება, რასაც, სავარაუდოდ, ახალი მშენებლობებიც მიჰყვება.**

**„საქსტატის" მონაცემებით, 2023 წლის აგვისტოში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1%-ით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 1.6-პროცენტიანი ზრდით, რამაც 0.6 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.**

2022 წლის თებერვალთან შედარებით კი მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 10.9 პროცენტით. ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 28.1-პროცენტიანი ზრდით და სამშენებლო მასალების 6.2-პროცენტიანი გაძვირებით, რამაც, შესაბამისად, 6.45 და 3.46 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

დეველოპერები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდა და კადრების დეფიციტი მთავარი ფაქტორებია, რაც მშენებლობის ინდექსში ადეკვატურად აისახა და ზრდა გამოიწვია. კომპანია „არსის" გენერალური დირექტორი **ბესო ორთოიძე** აცხადებს, რომ სექტორში ხელფასები გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ზრდას და კადრებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევას უკავშირდება.

მისი თქმით, განსაკუთრებით პროფესიული კადრი არის დეფიციტი, რის მოგვარება პროფესიული გადამზადების პროგრამების გარეშე შეუძლებელია.

**„ზოგადად, არა მარტო ჩვენს სფეროში, ნებისმიერ დარგში მსგავსი ვითარებაა. ეკონომიკური ზრდის პარალელურად ხელფასების იზრდება, რაც ლოგიკურია. თუმცა მშენებლობის სექტორში ამას სხვა ფაქტორებიც ემატება. არაერთხელ გვითქვამს, რომ შრომითი რესურსი საკმაოდ დეფიციტურია. შესაბამისად, ამ დეფიციტის ფონზე თვიდან თვემდე ზრდა დასტურდება.**

**როცა კადრის მოძიება ჭირს, შესაბამისად, სახელფასო განაკვეთიც მატულობს. თუმცა კატასტროფული მაჩვენებლები არ არის. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა გადის პროფესიული გადამზადების კურსებზე, რომ მოხდეს კადრების მომზადება, სტაჟირება და სხვა, მაგრამ უმეტესად მენტალურ პრობლემას ვაწყდებით. ხშირად ადამიანის ოჯახის წევრები იღებენ გადაწყვეტილებას, პოპულარული პროფესიები აირჩიონ, ხოლო კურსდამთავრებულები ვერ იწყებენ სამსახურს საკუთარი პროფესიით, ზოგიც არაპროფილურ საქმიანობაში ებმება, მათ შორის, მშენებლობაში საქმდება და აგროვებს გამოცდილებას. სხვადასხვა დარგში არის ეს პრობლემა, ამ მხრივ მარტო საქართველოს არ უჭირს",** – განუცხადა „ბიზნეს ინსაიდერს" ორთოიძემ.

**მშენებლები მუდმივად გაძვირებაზე აპელირებენ, რაც მათ ინტერესშია, მაგრამ სარეალიზაციო ბაზარზე სხვაგვარი ვითარებაა, რაც მოთხოვნის საგრძნობ კლებას ადასტურებს. ბოლო მონაცემებით (აგვისტოს სტატისტიკით) თბილისში 3552 ბინა გაიყიდა, რაც გასულ წელთან შედარებით, 9.3%-ით და წინა თვესთან შედარებით, 2.8%-ით შემცირებული მაჩვენებელია.**

**ე.წ. პირველად ბაზარზე გაყიდვების ბევრად ნაკლები შემცირება გამოვლინდა ვიდრე მეორადზე (-1.7% და -14.6% შესაბამისად). ეს, სავარაუდოდ, მიუთითებს ქირის ბაზრის მიმზიდველობის შემცირებაზე, რადგან მიგრანტებისგან უძრავ ქონებაზე მოთხოვნა შემცირდა, რაც გასულ წელს ქირის მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.**

„გალტ ენდ თაგარტის" ანგარიშით, 2023 წლის აგვისტოში წლიური გაყიდვები თბილისის თითქმის ყველა უბანში შემცირდა. ზრდა მხოლოდ დიდი დიღმის (+17.8%) და ნაძალადევის (+26.6%) რაიონებში დადასტურდა.

**ახალაშენებული ბინების ღირებულება ჯერ არ მცირდება, რადგან დეველოპერები ყველანაირად ცდილობენ მაღალი ნიშნულის შენარჩუნებას და ამას საინფორმაციო ტექნოლოგიების მოშველიებით აქამდე ახერხებენ, ძველი ბინების შემთხვევაში კი უკვე დაიწყო გაიაფება და ე.წ. მეორად ბაზარზე ფასები უკვე დაბლა წამოვიდა შემცირდა, რადგან მოთხოვნა შესუსტდა ქირის ბაზრის მიმზიდველობის შემცირების გამო.**

**ბექა დანელია**





# ვიტვირთოთ ლოდი, ვიწვნიოთ შოლტი, ჩავყლაპოთ ზიზღი, რომ... საქართველო გახდეს კუთვნილის ღირსი!

**ჩვენი ორგანიზმი, სხვადასხვა დონის ხმაურზე, სხვადასხვაგვარად რეაგირებს. თურმე, 70-90 დეციბელი დონის ხმაური ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში ნერვული სისტემის დაავადებას იწვევს, ხოლო 100 დეციბელზე მეტი ინტენსივობისა აქვეითებს სმენას ზოგჯერ სრულ სიყრუემდეც კი. ხმაური ძალზე დიდ დატვირთვას უქმნის ადამიანის ნერვულ სისტემას, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს მასზე. ხმაურის გავლენით, ძილის დროსაც, სისხლში იმატებს ისეთი სტრესული ჰორმონების დონე, როგორებიცაა კორტიზოლი, ადრენალინი, ნორადრენალინი. რაც უფრო მეტხანს არის მომატებული ამ ჰორმონების დონე, მით მეტია ალბათობა დაირღვეს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები და ჯანრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები წარმოიშვას...**

ბოლოს და ბოლოს, გარკვეული დეციბელის ხმაური იწვევს ადამიანში სასიცოცხლო ძალების სრულ განადგურებას! – ასე ამბობენ მკვლევარები და მეცნიერები, მაგრამ თუ ხმაური გამოწვეულია მშენებლობის პროცესიდან... რას ვიზამთ, თურმე უნდა ავიტანოთ, მიუხედავად იმისა, რომ ხმაური ხმაურია და ადამიანის ორგანიზმი არ არჩევს, რომელია მშენებლობიდან ხმაური და რომელი დაუდევარი და უპასუხისმგებლო ადამიანის მიერ ატეხილი აურზაური, უდროო დროს მუსიკის ჩართვა თუ მოძველებულძრავიანი მანქანებითა და მოტოციკლებით სრბოლა ქუჩებში იმ დროს, როდესაც ქალაქს სძინავს.

ყოველივე ამას იმიტომ შეგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ხმაურის საწინააღმდეგო ჩვენს კანონებს რომ გადავხედე, თურმე ყველანაირი ხმაური ჯარიმდება, მაგრამ მშენებლობებისგან გამოწვეულს კი არც ერთი არ ეხება. მართლაც, მშენებლობის გარეშე ქვეყანას წინსვლა როგორ ექნება, განა არ ვიცით, მაგრამ ოცდაათი წლის განმავლობაში ქალაქის ცენტრში გამუდმებული მშენებლობა? და როგორი მერე! ისეთი ცათამბჯენები აგვიშენეს, მზის სხივებს ვინ დაეძებს, ცა რო ცაა, ისიც კი დაგვიფარეს! თბილისს არ უხდება, თბილისს სხვაგვარი მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. ამაზე მე კი არა, სპეციალისტებიც ბევრს საუბრობენ. აბა, ვისი რჩევებით აშენებენ ნეტავ!

**ვინ წარმოიდგენს, თუ რა გადავიტანეთ (თუ ამას გადატანა ჰქვია!) ფალიაშვილის ქუჩისა და ზოგადად, ვაკის პარკის მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებმა ბოლო ათეული წლების განმავლობაში. ძველი ორ და სამსართულიანი სახლების დანგრევით და ახალი მრავალსართულიანების აშენებით, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრმა იხეირა. მშენებელმა კომპანიებმა მოგება ნახეს: ბელეტაჟების ნაცვლად, სადაც ცხოვრობდა ათი ან თორმეტი ოჯახი, ააშენეს ორმოცდაათი და ხშირად ასბინიანი კორპუსები, ადგილობრივი მცხოვრებნი დააკმაყოფილეს, დანარჩენი ბინები გაყიდეს მაღალ ფასებში.**

იმ ძველმა მცხოვრებლებმაც ხომ იხეირეს, ძველის სანაცვლოდ ახალი კომფორტული ბინების მიღებით. ამტომაც, ერთი შეხედვით, თითქოს ცუდი არაფერი ხდება, მაგრამ ქუჩებზე, სადაც გამუდმებული ნგრევა-შენება მიმდინარეობს, ხომ ცხოვრობენ ადამიანები ოჯახებით, ბავშვებით, მოხუცებით... გამუდმებული ხმაური ხომ უნადგურებთ მათ ჯანმრთელობას და ახლა, მშენებლობის მტვერსა და ჭუჭყს არ იკითხავთ ? თურმე ისე არაფერი არ აჭუჭყიანებს და აბინძურებს ჰაერს, როგორც მიმდინარე მშენებლობის პროცესში გამოყოფილი მტვერი და ნაგავი.

დიახ, ჩვენ ახლა ვსაუბრობთ ხმაურზე, როგორ ცუდად აისახება იგი ადამიანზე, ხმაურის გავლენით ქვეითდება სმენითი მგრძნობელობა. მუდმივად ხმაურის პირობებში მუშაობისას იწყება თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გულისრევა, იმატებს შფოთვა, უძილობა და სხვა.

**დიდი მნიშვნელობა აქვს ხმაურისგან დაცვის მექანიზმების შემუშავებას... და ვინ უნდა შეიმუშაოს ხმაურისაგან დამცავი მექანიზმები თუ კანონები?**

ძვირფასო მკითხველო, არ ვიცი, როგორ გესაუბროთ, როგორ გამოვხატო ის აზრი და შეხედულება, რომელიც ახლა ჩემს თავში ტრიალებს, გულშიც... და არ მასვენებს, ჩვენდა სამწუხაროდ...

არა მარტო გამუდმებული მშენებლობებით გამოწვეული ხმაური აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს, არამედ ზიანი მოაქვს იმ თავყრილობებს და სხდომებსაც კი, რომელიც შეხლაშემოხლით, წიოკით და ხშირად ფიზიკური ძალადობითაც კი მიმდინარეობს და არ მთავრდება. ჩვენი ხალხი მიეჩვია ასეთ სანახაობებს პარლამენტიდან, იმ ორგანიზაციიდან, სადაც ადამიანის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნაზე და ხვალინდელ კეთილდღეობის მოწყობაზე უნდა იყოს საუბარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს გონივრული რჩევები, სითბო, იმედი და სიყვარული, ჩვენ – ხალხი, ადამიანები რას შევყურებთ? ადამიანის კეთილდღეობას მხოლოდ შემოსავალი (თუმცა ესეც როდი გვაქვს!) ან ეკონომიური მაჩვენებლები რომ არ განაპირობებს ამას თავადაც კარგად ვგრძნობთ.

კეთილდღეობისთვის მთავარია ჯანმრთელობა, ჯანმრთელობისთვის კი სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, მშვიდი და წყნარი გარემო, ჯანმრთელობის კერების აღორძინება. სად დაიკარგა იმ „წყეულ" საბჭოთა კავშირში კარგად აპრობირებული სანატორიუმები და მოსამსახურეთათვის იქ განწესებული საგზურები? რასა ჰგავს დღევანდელი ჩვენი სამედიცინო დარგი? თავი რომ აგვტკივდება მაშინაც რომ თურქეთში გავრბივართ, ამაზე რას ფიქრობენ ჩვენი თავმოყვარე ექიმები? რამდენი კარგი რამ, უკვე დამკვიდრებული, იმ დასაქცევ საჭოთა კავშირში კარგად და მყარად დაფუძნებული, ავტორიტეტული და სახელგანთქმული, როგორც კი თავისუფლება ვიგრძენით, მაშინვე მოვდექით და უმოწყალოდ გავმარგლეთ, გავჩეხეთ!

**დღევანდელი ჩვენი ჯანმრთელობის სისტემა ნამდვილად არ ეკადრება საქართველოს!**

**და, რაც საქართველოს ეკადრება, იმაზე ვინ უნდა ფიქრობდეს, თუ არა პარლამენტი? რამდენი წელია უკვე, პარლამენტში ბრძოლაა გაჩაღებული. ვის სცალია საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის! და ვფიქრობ ახლა, – თუ ეს ბრძოლა კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა კეთილის გამარჯვებით დასამთავრებელი, მაშინ კი ღირს, რომ გავცვითოთ ბონდი, ვიტვირთოთ ლოდი, ვიგუოთ ჭოტი, ვიწვნიოთ შოლტი, გავწყვიტოთ ბარდი, სიბნელეს ავხადოთ ფარდა, დავღვაროთ სისხლიც, ჩავყლაპოთ ზიზღი, რომ საქართველო გავხადოთ კუთვნილის ღირსი!**

**ღმერთო, ნათელი დიდი პოეტის მუხრან მაჭავარიანის სულს, იგი ახლა ჩემთან და საქართველოსთან იყო!**



**გულნარა სტურუა**




# აზერბაიჯანი და საქართველო „შუა დერეფანში“

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოში მორიგი ვიზიტისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „შუა დერეფნის“ მნიშვნელობას და დაინტერესება გამოხატა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტით. ანალიტიკოსები თბილისსა და ბაქოში ეჭვობენ, რომ აზერბაიჯანი მზად იყოს ანაკლიის პორტის 49%-ის სრულად დაფინანსებისათვის, თუმცა მიიჩნევენ, რომ ჩინეთსა და ევროპას შორის „შუა დერეფნის“ გააქტიურების გათვალისწინებით, შავი ზღვის ახალ პორტში გარკვეული წილი მისთვის მხოლოდ მომგებიანი იქნება.**

**პორტის პარტნიორის საძებნელად გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერი უკვე სრულდება. წესით ახალი პრეტენდენტები არ მიიღება.**

**შეიძლება თუ არა აზერბაიჯანი ანაკლიის პროექტში ჩაერთოს? როგორ? რას ცვლის მისი შესაძლო მონაწილეობა ანაკლიის პროექტში?**

## ანაკლია ალიევის თვალსაწიერში

**„დიდი სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომლებზეც საუბარი იყო – ანაკლიის პორტი იქნება თუ ნებისმიერი სხვა მიმართულება“**, – გამოაცხადა **ილჰამ ალიევმა ირაკლი ღარიბაშვილთან** ერთად გამართულ მოკლე ბრიფინგზე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ორ ქვეყანას „ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სხვა მიმართულებებით ძალიან დიდი გეგმები“ აქვთ და სწორედ მაშინ ახსენა ანაკლია. იქვე დასძინა, ჩვენ უკვე ვფლობთ ყულევის პორტს შავი ზღვის სანაპიროზე და შეგვიძლია, ეს პორტიც გავაფართოვოთო. ყულევის ტერმინალი ფოთსა და ანაკლიას შორის მდებარეობს. მისი ოპერატორია „შავი ზღვის ტერმინალი“, რომელსაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SACAR-ი ფლობს.

**„ეს გააძლიერებს და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს თანამშრომლობას. ბაქო-თბილისის რკინიგზის მიმართულებით წარმადობას ხუთმაგად გავზრდით... ეს იქნება უმსხვილესი კომპონენტი ჩვენი შუა დერეფნის განვითარების მიმართულებით“**, – თქვა **ალიევმა.**

„შუა დერეფანი“, – ან „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზა“ (TITR), – ჩინეთსა და ევროპას აკავშირებს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით. უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და სანქციების ტალღების შემდეგ, მას სულ უფრო და უფრო მეტი ოპერატორი იყენებს. ტვირთბრუნვაც იზრდება.

დერეფნის ქვეყნები თანამშრომლობის გაძლიერების პირობას დებენ. რამდენიმე თვის წინ საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა გამოაცხადეს, რომ ჩამოყალიბდეს „ერთობლივი კომპანია, რომელიც ჩინეთიდან დერეფანში მომავალი ტვირთების გადაზიდვებს გაუწევს კოორდინაციას“.

ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილის განმარტებით, პარტნიორებთან შემუშავებულია „ძალიან მკაფიო საგზაო რუკა, რომელიც გულისხმობს როგორც საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას კასპიის პორტებში, ისე სარკინიგზო მიმართულებით და ნაოსნობის კუთხით“.

## რატომ აინტერესებს ალიევს ანაკლია?

**„აზერბაიჯანს სჭირდება შავი ზღვა, როგორც კარიბჭე, და ანაკლიის პორტში გარკვეულმა ჩართულობამ მის ეკონომიკაში შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს“**, – ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ **დავით ბრაგვაძე,** უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

ბრაგვაძე მიუთითებს, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო საქართველოში უკვე მონაწილეობს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მათ შორის ახალქალაქი-ყარსის რკინიგზაში. „ეს ახალი ამბავი არ არის, საერთო ინტერესები გვაქვს, მათ შორის შავი ზღვის პორტების მიმართულებით“.

ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა ათწლეულებს ითვლის. პრემიერმა ღარიბაშვილმაც გაუსვა ხაზი, რომ ბაქო-თბილისი აქტიურად თანამშრომლობენ ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სფეროებში.

2022 წლის შემოდგომის შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანი უნგრეთთან ერთად მჭიდროდ მუშაობენ ახალ პროექტზეც – შავ ზღვაში ელექტროენერგიის წყალქვეშა გადამცემი ხაზის მშენებლობაზე. აზერბაიჯანული ენერგია გაივლის საქართველოს, შავ ზღვასა და რუმინეთს, და გაიყიდება უნგრეთში. ალიევის ვიზიტის შემდეგ თბილისში უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი ჩამოვიდა.

## როგორ შეძლებს ბაქო ანაკლიის პროექტში ჩართვას?

**ჯერჯერობით ბუნდოვანია, თუ აპირებს, როგორ ჩაერთვება ანაკლიის პორტის განვითარებაში აზერბაიჯანი. საქართველოს მთავრობას გამოცხადებული აქვს, რომ პორტის 51%-ს თავად დაიტოვებს, 49%-ზე კი საერთაშორისო ტენდერია გამოცხადებული.**

ეკონომიკის მინისტრის თანახმად, კერძო პარტნიორის შერჩევის მეორე ეტაპზე გადასული ორი კომპანიიდან ერთი შვეიცარიულ-ლუქსემბურგულია, მეორე კი ჩინურ-სინგაპურული. 2023 წლის სექტემბერში საქართველოში ჩინეთის ელჩმა, ჭოუ ციენმა დაადასტურა პორტით დაინტერესება.

**„არა მგონი, ბაქო ანაკლიის პორტის პროექტის მთლიანად აღებას გეგმავდეს, – ეს ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს“**, – ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ **ფუად შაჰბაზოვი,** ანალიტიკოსი ბაქოდან.

**„მაგრამ აზერბაიჯანი, შესაძლოა, გახდეს გარკვეული მხარე, წილის მფლობელი, ჩინეთთან ერთად, – რამეთუ ეს ქვეყანა ბოლო დროს მნიშვნელოვნად ეყრდნობა სატრანზიტო პროექტებს და ანაკლია შეიძლება იყოს კარგი აქტივი „შუა დერეფნის“ პროექტისათვის“**, – გვეუბნება იგი.

ალიევმა 2023 წლის მარტში გერმანულ ლოჯისტიკურ კომპანიებთან საუბრისას, ანაკლიასთან დაკავშირებით მათ კითხვაზე პასუხად თქვა, რომ პროექტის შესახებ 6-7 წლის წინ შეიტყო, – საქართველოს მთავრობამ თანაინვესტირება გვთხოვა, მაგრამ შემდეგ პროექტი გაჩერდაო.

**„ახლა გავიგეთ, რომ პროექტი ბრუნდება. ასე რომ, კვლავ ვაკვირდებით... თუ გვექნა ინფორმაცია ინვესტორების შესახებ, ინვესტორების წილების შესახებ, – და ვინ იქნება თანაინვესტორი, – საინტერესოა! რადგან ახლა, კასპიის ზღვაზე ახალ მიმართულებასთან დაკავშირებით, ცხადია, იქნება შავი ზღვის პორტების გაფართოების საჭიროება. ჩვენს „კასპიის გადამზიდავ კომპანიას“, ASCO-ს, ჰყავს გემები შავ ზღვაში, და დამატებითი გემების შეძენა სურთ, რადგან შავ ზღვაშიც ოპერირებენ, არა მხოლოდ კასპიის ზღვაში. თუმცა მათი ოპერაცია შედარებით მოკრძალებულია... ასე რომ, განვიხილავთ ყველაფერს, შევხედავთ რიცხვებს და გადავწყვეტთ“**, – თქვა **ილჰამ ალიევმა.**

პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ბაქოს შესაძლო ჩართულობაზე ანაკლიის პროექტში საჯაროდ არაფერი თქვა – ალიევის განცხადებები ბრიფინგზე ღარიბაშვილის სიტყვას მოჰყვა და ამ უკანასკნელს ალიევის ინიციატივაზე პასუხი არ გაუცია.

## გადახვევა პირველადი იდეიდან?

**ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი, რომელსაც ქართულ-ამერიკული „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ედგა სათავეში, საქართველოს მთავრობამ 2020 წელს, დასავლელი პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად, ჩააგდო.**

დავით ბრაგვაძე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უსაფრთხოებისა და ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი **გიორგი მარგველაშვილის** პრეზიდენტობისას, იხსენებს, რომ „ანაკლიის პორტის დასავლური კაპიტალით მშენებლობას, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის გარდა, უნდა მოჰყოლოდა მნიშვნელოვანი უსაფრთხოების გარანტიები“.

**„დიდი ამერიკული ინვესტიცია თავისთავად გულისხმობდა ამას. ღრმაწყლოვანი პორტი აჩენდა უფრო დიდი გემების შემოსვლისა და ბაზირების შესაძლებლობებს, – მათ შორის არასამოქალაქო გემებისა. ანაკლიას მხოლოდ ეკონომიკურ პროექტად არ აღვიქვამდით, ის ეროვნული უსაფრთხოების გაუმჯობესებასაც ემსახურებოდა“**, – განმარტავს იგი.

პროექტის შეწყვეტის მიზეზად მთავრობა ინვესტორის მხრიდან „ვალდებულებების შეუსრულებლობას“ ასახელებდა, თუმცა ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ რეალური მიზეზი გეოპოლიტიკური იყო – ამერიკული ინვესტიციებით დაფინანსებული სტრატეგიული პროექტის ჩავარდნა რუსეთს აწყობდა.

**„რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?“** – კონსორციუმის დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა მას ეს ჯერ კიდევ 2017 წელს უთხრა; ივანიშვილს ან მის გარემოცვას ამ სიტყვების ნამდვილობა არ დაუდასტურებია. ხაზარაძემ თქვა ისიც, რომ მაშინ გაიგო ივანიშვილისგან, ანაკლიის ინვესტორი, მისი აზრით, „ჩინური სახელმწიფო კომპანია“ უნდა ყოფილიყო.

2022 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ პროექტზე საუბარი განაახლა. პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და მედიის ნაწილი მიიჩნევს, ჩინეთ-საქართველოსთან ახალი სტრატეგიული პარტნიორობა სწორედ ამ პორტზე იქნება ფოკუსირებული.

აზერბაიჯანის შესაძლო შემოსვლასთან დაკავშირებით ამჟამად მასაც კითხვები აქვს ტექნიკური საკითხის გათვალისწინებით, თუმცა ანალიტიკოსი დავით ბრაგვაძე ამბობს, რომ აზერბაიჯანის, როგორც ერთი თანამონაწილის არსებობა პრობლემა არ იქნება: **„პრობლემა იქნება, თუ ეს გახდება დიდწილად აზერბაიჯანული ან დიდწილად ჩინური ინვესტიცია, იმიტომ, რომ ამას სხვა ტიპის გამოწვევები შეიძლება მოჰყვეს“.**

## აზერბაიჯანული პერსპექტივა

**„პრეზიდენტი ალიევის ვიზიტი თბილისში, სავარაუდოდ, გაზრდის ორმხრივ სავაჭრო ბრუნვას და საფუძველს ჩაუყრის ახალ რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა, მაგალითად, აზერბაიჯანსა და თურქეთის ახლადგახსნილი ნახჭევანი-იღდირის გაზსადენი“**, – ამბობს **შაჰბაზოვი.**

აზერბაიჯანი ახლახან შეთანხმდა თურქეთთან ნახიჩევანი-იღდირის გაზსადენზე, – „გაზის დერეფანზე“ – რომლითაც აზერბაიჯანული გაზი თურქეთის გავლით აზერბაიჯანის ექსკლავს, ნახიჩევანს დაუკავშირდება. ნახიჩევანი სომხეთსა და თურქეთს შორისაა მოქცეული. ახალი მარშრუტი, თავის მხრივ, საქართველოზე გადის – აზერბაიჯანული გაზი თურქეთში საქართველოს გავლით ხვდება.

ალიევი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ყარაბაღზე კონტროლის დამყარებამდე, აქტიურად ითხოვდა სომხეთის ტერიტორიაზე „ექსტრატერიტორიული“ დერეფნის – „ზანგეზურის დერეფნის“ – გაჭრას, თუმცა ჯერჯერობით ამ შედეგს ვერ მიაღწია. ამ გზით თურქეთი დაამყარებდა პირდაპირ კავშირს კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებთან და შუა აზიაში ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობებისა და გავლენის გაძლიერების პერსპექტივა უჩნდებოდა.

6 ოქტომბერს ირანმა და აზერბაიჯანმა, რომლებიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დაძაბულობის განმუხტვას ცდილობენ, საფუძველი ჩაუყარეს ახალი ხიდის მშენებლობას, რომელიც დააკავშირებს აზერბაიჯანის ზანგილანის პროვინციას ირანთან. ამ მიმართულებით მაგისტრალი კი ნახიჩევანს ირანის გავლით დაუკავშირებს აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიას. ამ სცენარში აზერბაიჯანი ირანის ტერიტორიაზე ხდება დამოკიდებული, რასაც ვერ აკონტროლებს.

**ლუკა პერტაია**

# როდესაც სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩის სადაზვერვო ქმედებები გამოკვეთილია, ვფიქრობ, საფრთხე რეალურად არსებობს

**დავით კუხალაშვილი:**



**სუს-ის მიერ გასაჯაროებული USAID-ის მიერ დაფინანსებული ტრენინგის მთავარი თემა რევოლუციის დაგეგმვა და წინააღმდეგობის გაწევის ხერხებია. სახელმწიფო გადატრიალების საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ამიტომ დეტალები არ საჯაროვდება. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მტკიცებულებების მცირე ნაწილი გასაჯაროვდა, რაც შეეხება მტკიცებულებების სხვა ნაწილს, არ არის გამორიცხული, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს მათი განსაიდუმლოება და გასაჯაროება.**

**რა საფრთხეების წინაშე დგას სახელმწიფო? — ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს დავით კუხალაშვილს ესაუბრა.**

**— ვისმენთ ინფორმაციას სახელმწიფო გადატრიალების გეგმის შესახებ, რაც თავისი შინაარსით უმძიმესია. ვრცელდება ინფორმაცია, სავარაუდო მარშრუტთან დაკავშირებითაც. რამდენად საგანგაშოა და ამავე დროს სახიფათოა ის ინფორმაციები, რომელიც ვრცელდება. სუს-ში აცხადებენ, რომ დღეისათვის არეულობის საფრთხე კვლავ რეალურია, ამიტომ გამოძიება ისევ გრძელდება.**

— რაც შეეხება ლეგალურ საფრთხეს, ზოგადად, ყველაფრის შენიღბვა და გაკეთება შეიძლება. ასე რომ, შეიძლება ამ ძალების ლეგალური შემოსვლა განხორციელდეს, ასევე განხორციელდეს იარაღის კონტრაბანდა საზღვაო სივრცით, ამის პრობლემა არ არსებობს. არსებობს მეორე საკითხი — შესაძლებელია საზღვაო პორტები და დაუცველი, მოწყვლადი ადგილები გამოყენებული იქნეს ამ ჯგუფის შემოსაყვანად? ჩვენ მარტო საზღვაო პორტებზე ნუ გავაკეთებთ აქცენტს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ტერიტორიები, რომელიც, პრაქტიკულად, აბსოლუტურ კონტროლს ვერ ექვემდებარება და აქიდანაც შესაძლებელია ყველაფერი განხორციელდეს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამწუხაროდ, ქვეყნიდან გასულია და უცხო ქვეყნის სამსახურში ჩამდგარია ყოფილი სპეცსამსახურების და თავდაცვის სამინისტროს საკმაოდ გამოცდილი თანამშრომლები, ვფიქრობ, რომ მათ გარკვეული და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ მიმართულებით გააჩნიათ. ამასთან ერთად, სახიფათოდ მიმაჩნია ის გარემოება, რომ, მაღალი ალბათობით, გარკვეული ქურქის ქვეშ გახვეული თანამშრომლები მოღვაწეობენ სპეცსამსახურებში და იმ უწყებებში, სადაც აგრეთვე აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა მიმდინარეობს და სრულიად საიდუმლო ინფორმაცია ინახება. ასე რომ, თუ კონკრეტული დაინტერესება იქნება უცხო ქვეყნების მხრიდან, მათ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ რეალურად ეს პროცესები განახორციელონ.

**— გასაგებია, რომ შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ რამდენად არსებობს ამის აუცილებლობა ქვეყანაში?**

— განვითარებული მოვლენებიდან და ღია წყაროებში არსებული ინფორმაციებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება გარკვეული ხელისუფლებებისთვის არის მიუღებელი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საფრთხე რეალურია, განსაკუთრებით იმის შემდგომ, რა განცხადებაც გაკეთდა USAID-თან დაკავშირებით და ვხედავთ, რომ ამის განეიტრალებაც უნდათ პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რომ თითქოსდა ეს არ შეიძლება ასე იყოს. ზოგადად, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული საკუთარი ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობაში. მათ აქვთ სადაზვერვო ფუნქცია და ისინი კრებენ ინფორმაციას და მონაწილეობენ აბსოლუტურად ყველა პროცესში.

კერძოდ, ისეთ პროცესებში, როგორიც არის გადაბირება, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და ა.შ. ფაქტობრივად, ჩვენ გვაქვს არსებული მდგომარეობის ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, შესაძლებელია, რომ საქართველოში იგეგმებოდეს სახელმწიფო გადატრიალება. ეს არის რეალობა და ამას ნებისმიერი ადამიანი, ვისაც შესაბამისი განათლება აქვს, ვისაც უმუშავია ოპერატიულ სამსახურებში, აგენტურულ-ოპერატიული ფუნქციების მქონე ანალიტიკურ სამსახურებში, არ შეიძლება, რომ ამის შეგრძნება არ ჰქონდეს.

**— დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში რამდენად არის შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეყანაში შეძლონ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, არის ამისთვის პოლიტიკური ნიადაგი შექმნილი?**

— ნახეთ ღია წყაროებში გაკეთებული განცხადებები, როგორც პოლიტიკური ოპოზიციის, ასევე საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიების ლიდერებისა. ყველა განცხადება შეიცავს პირდაპირ და ირიბ მოწოდებებს ხელისუფლების მიუღებლობის და სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. ამიტომ, როდესაც სახეზეა სადაზვერვო პროპაგანდა, როდესაც სახეზეა სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის საელჩოს მთავარი წარმომადგენლის, ელჩის მხრიდან, გამოკვეთილი სადაზვერვო ქმედებები, როდესაც სახეზეა სტრატეგიული პარტნიორის კონტროლს დაქვემდებარებული ავტორიტეტული ორგანიზაციის მხრიდან სადაზვერვო საქმიანობის ნიშნები, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, რეალურად საფრთხე არსებობს და, როგორც ჩანს, არსებობს კონკრეტული გეგმა. ამაზეც უარს არ იტყვიან ის ქვეყნები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, რომ არიან მყარი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოები.

**— ამერიკის საელჩო ამბობს, რომ გააგრძელებს ამ ორგანიზაციების დაფინანსებას და იგივეს აცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტი. ცხადია, პოლიტიკური ფონი არაა მომწიფებული, ანუ, იმ ძალას, რომელსაც უნდა ხელისუფლების შეცვლა, არ აქვს მოსახლეობის მხარდაჭერა, არჩევნების გზით ხელისუფლებაში შეუძლებელია მოვიდნენ და ამიტომ ცდილობენ რევოლუციური პროცესებით დაიბრუნონ მართვის სადავეები. გამოიკვეთა, რომ ამ რადიკალურ ჯგუფს აქვს ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის მხარდაჭერა...**

— ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო თითქოსდა ლეგალური გზებით შემოსული თანხების არალეგალური ხარჯვის კონტროლი. ეს არის მნიშვნელოვანი თანხები, რომელიც შემოსულია აშშ-დან, ევროპის სახელმწიფოებიდან, რომელმაც გადინება ჰპოვა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში და, ალბათობის მაღალი ხარისხით, ეს თანხები გამოიყენებოდა და გამოიყენება დღესაც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობისათვის. იმიტომ, რომ რეალურად წვდომა ამ თანხებთან და საგრანტო სისტემებთან შენარჩუნებული აქვს ისევ ყოფილი ხელისუფლების პროპაგანდისტებს და მაღალჩინოსნებს. ასე რომ, ის, რასაც ამბობენ აშშ-ში, ეს არის დეკლარირებული პოზიცია, მაგრამ ამავე დროს გააჩნია თავისი სტრატეგიული ინტერესები, ანუ სადაზვერვო ინტერსები და ამის განხორციელება მას შეუძლია სადაზვერვო აქტიურობით. ე.ი. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, ეს უნდა იყოს მნიშვნელოვანი საფართხე საქართველოსთვის და საყურადღებო მდგომარეობა საქართველოს სპეცსამსახურებისთვის. კერძოდ, არ არსებობს ფონი და რომ არ გააჩნიათ საკმარისი ძალები, რომელსაც ჩვენ შეიძლება პოლიტიკურად მოუმზადებელს ვეძახოდეთ, სწორედ ეს ვითარება შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ უცებ გაჩნდეს ისეთი ძალები და საშუალებები, რომლებიც მოახდენენ იმას, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ.

ამიტომ, ჩვენ ადრეც ვაკეთებდით აქცენტს და დღესაც უნდა გავაკეთოთ აქცენტი იმ პირებზე და პირთა ჯგუფებზე, რომლებსაც გააჩნდათ მნიშვნელოვანი გამოცდილება აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობისა და უფრო მეტიც, მათ შეიძინეს აქტიურ-საბრძოლო მოქმედებებში დამატებითი პრაქტიკა. თუ დავაკვირდებით გადატრიალების ისტორიას, სახელმწიფოს ხელისუფლების დამხობისთვის არ არის უცილებელი 10, 20 ათასი და 1000 ჯარისკაცი. შესაძლებელია ორგანიზებული იქნას ძალიან მცირე ჯგუფი, მათ შორის 10-დან 20 კაცამდე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეულ პირთა ლიკვიდაცია და შემდეგ ამას მოსდევდეს თანხვედრი პროცესები. რასაც ახლა ვამბობთ, რომ მათ საკმარისი მხარდამჭერები არ ყავთ, ამას გარკვეული შეკავების მექანიზმი აქვს, მაგრამ რეალობაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ასეთი პოზიცია, რომ კონკრეტული ვითარებისა და მოქმედების ანალიზი მათ მისცემს შესაძლებლობას, რომ შესაძლო გამარჯვებულის მხარეს გადაადგილდნენ და ასეთი გადაადგილების ჯგუფი ვფიქრობ, რომ სპეცსამსახურებშიც და სახელმწიფო სტრუქტურებშიც მრავლად არის.



*საქართველოს ხელისუფლება გარკვეული ხელისუფლებებისთვის არის მიუღებელი. საფრთხე რეალურია, განსაკუთრებით იმის შემდგომ, რა განცხადებაც გაკეთდა USAID-თან დაკავშირებით და ვხედავთ, რომ ამის განეიტრალებაც უნდათ პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რომ თითქოსდა ეს არ შეიძლება ასე იყოს.*

**— ჩვენს სახელმწიფოს რამდენად აქვს რევოლუციური გადატრიალების აღკვეთის შესაძლებლობა?**

— სახელმწიფოს ამის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მას გააჩნია შესაბამისი სპეცსამსახურები, რომლებსაც გააჩნიათ ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ აგენტურული აპარატი, უნდა გააჩნდეთ ნდობით აღჭურვილი პირები. სახელმწიფოს გააჩნია სადაზვერვო სამსახური, რომელსაც შეღწევადობა უნდა გააჩნდეს უცხო ქვეყნების იმ სამზარეულოებში, სადაც წყდება ამა თუ იმ აქციის ბედი და აქედან გამომდინარე კოორდინირებული საქმიანობით ეს ყველაფერი მიღწევადია.

თუ რაიმე პრობლემა იქნება, პრობლემის წინაშე დადგება სახელმწიფო, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ეს ორი სამსახური თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. მათ შორის უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს სამხედრო კონტრდაზვერვა და რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, საკმაოდ დიდი ფინანსური ხარჯებიც არის გაწეული ამ სამსახურების აქტიური საქმიანობისათვის.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# გამომძიებლები – ნებართვის გარეშე!

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შესვლას და დაკავებულ პირებთან შეხვედრას შეძლებენ.** ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„აღნიშნულ წესთან დაკავშირებით უწყებებს შორის შეთანხმება, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივით შექმნილ სამოხელეო დანაშაულების პრევენციის საბჭოზე იქნა მიღებული, რის შემდეგაც იგი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დროებითი მოთავსების იზოლატორებში ამოქმედდა. განხორციელებული ცვლილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას, შემაფერხებელი პროცედურების გარეშე დაკავებულ პირებთან შეხვედრას, მათ მიერ მიღებული დაზიანებების დროულ ფიქსაციასა და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეუფერხებლად შესვლის წესის ამოქმედებას წინ უძღოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის მიერ „პატიმრობის შესახებ“ კოდექსში შეტანილი ცვლილება, რამაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს უფლება მისცა პენიტენციურ დაწესებულებაში ნებართვის გარეშე შევიდნენ, შეხვდნენ პატიმრებსა და მოახდინონ მათ საჩივრებზე დროული რეაგირება“.



# ისრაელისა და „ჰამასის“ ომი



## რა გამოწვევის წინაშეა უკრაინა?

**პალესტინელთა რადიკალური მოძრაობა „ჰამასის“ ისრაელზე თავდასხმის შემდეგ უკრაინა ახალი გამოწვევის წინაშეა – მოახდენს თუ არა გავლენას ახალი შეიარაღებული კონფლიქტი დასავლეთის დახმარებაზე, რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომში?**

**რუსეთში დარწმუნებული არიან, რომ კი. ამასთან, რუსეთი პალესტინის სახელმწიფოდ აღიარების მხარდამჭერია და „ჰამასის“ დელეგაციას სხვადასხვა დროს მოსკოვში ოფიციალურ დონეზეც მასპინძლობდნენ.**

### უკრაინის გამოწვევა

**უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი მოუწოდებს ნატოს ქვეყნებს, რომ გაერთიანდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ.** ის ვერ ხედავს განსხვავებას რუსეთსა და „ჰამასს“ შორის, რომელიც აშშ-მა და ევროკავშირმა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარეს.

**„ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ისრაელს თავს დაესხა ტერორისტული ორგანიზაცია („ჰამასი“), ხოლო უკრაინას – ტერორისტული სახელმწიფო (რუსეთი)“,** – მიმართა **ზელენსკიმ** ნატოს საპარლამენტო ასამბლეას, 9 ოქტომბერს, ონლაინჩართვისას. მან ასევე ილაპარაკა რუსეთის მოკავშირე ირანის როლზე, როგორც უკრაინაში მიმდინარე ომთან, ასევე ისრაელზე „ჰამასის“ თავდასხმასთან მიმართებით.

მას შემდეგ, რაც 7 ოქტომბერს რადიკალურმა ისლამისტურმა მოძრაობა „ჰამასმა“ ისრაელის ქალაქებზე მასირებული სარაკეტო შეტევა მიიტანა, ღაზის სექტორის მოსაზღვრე რაიონებში ხმელეთიდანაც შეიჭრა და ასობით ადამიანი დახოცა, რუსეთის სოციალურ ქსელებს კმაყოფილების ტალღამ გადაუარა. აღნიშნავდნენ, რომ – ამიერიდან უკრაინა დასავლეთის დახმარებას უნდა დაემშვიდობოს, რადგან აშშ-ისთვის ისრაელის დახმარება გაცილებით უფრო პრიორიტეტული გახდება. იმავეს იმეორებენ ბელარუსულ არხებზეც.

**„უკრაინული საკითხი ჩრდილში გადაინაცვლებს და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი დაიწყება დიდი ომი ირანთან. შეერთებული შტატებისთვის ისრაელი უკრაინა არ არის. აშშ-ში ისრაელის ლობისთან ახლოსაც ვერ მივა პოლონური და მით უმეტეს – უკრაინული ლობი“,** – ამბობს ბელარუსულ „ბელტას“ ეთერში პოლიტოლოგი **იური შევცოვი.**

არავის გაუკვირდა, რომ მტკიცე მოკავშირე აშშ-მა ისრაელს დახმარების ხელი უკვე გაუწოდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ავიამზიდ Gerald Ford-ის მოიერიშე ჯგუფის გაგზავნის შესახებ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, ლოიდ ოსტინმა ისიც განაცხადა, რომ ასევე გადაიდგა ნაბიჯები „რეგიონში საჰაერო ძალების F-35, F-15, F-16 და A-10 გამანადგურებლების ესკადრილიების გასაძლიერებლად“.

არაფერი თქმულა სამომავლოდ უკრაინისთვის დახმარების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ. ექსპერტების დიდი ნაწილი შეუძლებლად მიიჩნევს, რომ დასავლელმა პარტნიორებმა უკრაინას ზურგი შეაქციონ.

**„ეს იქნება ევროპის დასასრული, თუკი უკრაინა დამარცხდება“,** – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დმიტრო კულებამ** უკრაინულ Forbes-თან.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მიერ 9 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი უკრაინის დისკრედიტაციას ცდილობს – უკრაინაში, ბრძოლის ველზე ნაალაფარი (აშშ-სა და ევროპაში წარმოებული) იარაღის პალესტინელებისთვის გადაცემით.

ოფიციალური ტექსტის თანახმად, „ჰამასისთვის“ იარაღი უკვე გადაცემულია და რუსეთის „მასშტაბური პროვოკაციის“ მიზანია „უკრაინის შეიარაღებული ძალების დისკრედიტაცია, რათა მას დასავლელმა პარტნიორებმა შეიარაღების მიწოდება სრულად შეუწყვიტონ“. მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები უკვე გამოჩნდა რუსეთის სახელმწიფო მედიაში.

აშშ-ის მხრიდან უკრაინის დახმარებასთან დაკავშირებით შეკითხვები ისრაელზე „ჰამასის“ თავდასხმამდე გაჩნდა, როდესაც აშშ-ის კონგრესის მიერ 30 სექტემბერს დამტკიცებულ დროებით ბიუჯეტში უკრაინის დახმარება არ იქნა გათვალისწინებული.

**„ატლანტიკური საბჭოს“ წარმომადგენელმა, უკრაინაში აშშ-ის ელჩმა 2003-2006 წლებში, ჯონ ჰერბსტმა „რადიო თავისუფლებას“ უთხრა, რომ აშშ 2023 წელს მოაწერს ხელს კიევისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გამოყოფას. კიევს ვაშინგტონის სამხედრო და ფინანსური დახმარება კვლავაც ექნება,** – თვლის ამერიკული ექსპერტების დიდი ნაწილი. თუმცა ბევრი რამ მომავალ არჩევნებზეც იქნება დამოკიდებული.

* * *

**ექსპერტებისთვის ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა როლს თამაშობს რუსეთი სისხლისმღვრელ სცენარში, რომელიც ისრაელში განვითარდა. მაგრამ მათთვის ნათელია რუსეთის კავშირები როგორც „ჰამასთან“, ასევე „ჰამასის“ მთავარ მოკავშირე – ირანთან.**

გასული წლის მარტში პალესტინიდან მოსკოვში ჩასული დელეგაცია რუსეთის ოფიციალურმა პირებმა მიიღეს. ეს იყო სწორედ რადიკალური ისლამისტური მოძრაობა „ჰამასის“ დელეგაცია – რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ განიხილეს „რუსეთის უცვლელი პოზიცია პალესტინის პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტის შესახებ“.

გერმანელი ანალიტიკოსი, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის ექსპერტი ჰანა ნოტე არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სისხლისღვრელ პროცესებში რუსეთი პირდაპირ არის ჩართული.

მისი შეფასებით:

- **არ გამოაშკარავებულა ფაქტები, რუსეთის მიერ „ჰამასისთვის“ იარაღის მსხვილი პარტიების მიწოდებისა თუ მისი მებრძოლების წვრთნის შესახებ;**
- **რუსული იარაღის გამოყენება არ დადასტურებულა არც ამ ბოლო სისხლისმღვრელი მოვლენების დროს, როცა „ჰამასის“ მებრძოლები ისრაელის ტერიტორიაზე მოულოდნელად შეიჭრნენ;**
- **რუსეთისთვის არ არის სახარბიელო ურთიერთობების გაწყვეტა ისრაელთან – რაც ამ დრომდე მტრული არ იყო.**

თუმცა გერმანელი ანალიტიკოსი ირიბ ჩარევაზე ლაპარაკობს. უკრაინის წინააღმდეგ ომში იარაღით დახმარების სანაცვლოდ, ჰანა ნოტეს თქმით, რუსეთმა ირანს რეგიონში თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მისცა და „ეს შესაძლოა, თამაშობს როლს იმაში, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ“.

ირანი რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ ომში აწვდის „კამიკაძე დრონებს“ და სხვა აღჭურვილობას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აუცილებელია დიალოგის დაწყება „ორი სახელმწიფოს ფორმულით“ და „დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაააქტიურონ კონსოლიდირებული ძალისხმევა“ კონფლიქტის „სამართლიანად და საიმედოდ“ მოსაგვარებლად.

რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური ვებსაიტის თანახმად, ეს საკითხი სერგეი ლავროვმა ტელეფონით ეგვიპტის პრეზიდენტთანაც განიხილა და პროცესში საერთაშორისო სამართლის და გაეროს უშიშროების საბჭოს მექანიზმების ჩართულობის აუცილებლობა დაასახელა.

### რა შეიძლება მოხდეს?

**„ჰამასის“ თავდასხმას ისრაელმა მძლავრი სარაკეტო დარტყმებით უპასუხა. 8 ოქტომბერს საომარი მდგომარეობის შემდეგ, 9 ოქტომბერს ისრაელმა გამოაცხადა გადაწყვეტილება ღაზის სექტორის სრული ბლოკადის შესახებ. ისრაელი აკონტროლებს ღაზის სექტორის საჰაერო სივრცეს, სანაპიროს და ისრაელის სასაზღვრო პუნქტების მხრიდან საქონლის შეტანას.**

ისრაელის არმიამ ორ დღეში კონტროლი აღადგინა ქვეყნის სამხრეთში, ღაზის სექტორთან მდებარე ყველა დასახლებულ პუნქტზე. მიუხედავად ამისა, ვითარება ექსპერტებისთვის კვლავ სახიფათოდ გამოიყურება და მოიცავს რისკს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდეს.

ამ ეტაპზე არსებულ საფრთხეებს შორის ზურაბ ბატიაშვილი ასახელებს, მაგალითად – ისრაელისთვის შესაძლო მეორე ფრონტის გახსნას ლიბანში მოქმედი პროირანული დაჯგუფების, „ჰეზბოლას“ მიერ და ვითარების გამწვავებას სირიაში, „სადაც ასევე პროირანული ძალები არიან წარმოდგენილი“. ექსპერტები მიუთითებენ, რომ თუკი შეიარაღებული დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი გახდება, ეს ბევრ პრობლემას მოუტანს თავად რუსეთსაც, მათ შორის – სირიაში.

ჰანა ნოტე აღნიშნავს, რომ რუსეთს ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ მოზომილი ესკალაცია აძლევს ხელს და გაუჭირდება თავისი ინტერესების დაცვა, თუკი ისრაელი ირანს დაუპირისპირდება და ესკალაცია ლიბანსა და სირიასაც მოედება. ამ ეტაპზე, „ჰამასს“ მხარდაჭერა გამოუცხადეს ირანმა და სირიამ. საუდის არაბეთმა, კუვეიტმა, ერაყმა, კატარმა და ომანმა განაცხადეს, რომ „ჰამასის“ თავდასხმა ოკუპაციის და პალესტინელი ხალხისთვის კანონიერი უფლებების წართმევის შედეგია.

7 ოქტომბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები ყველაზე მასშტაბურია ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინელებს შორის კონფლიქტში, რომელიც გასული საუკუნის შუა პერიოდიდან იღებს სათავეს. დავის საგანია იმ ტერიტორიების სუვერენიტეტი, რომლებიც უწინ პალესტინის ისტორიული ოლქის შემადგენლობაში შედიოდა.

**ლელა კუნჭულია,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

### ჟოზეფ ბორელი: ყველა პალესტინელის დასჯა უსამართლო იქნება

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, **ჟოზეფ ბორელის** განცხადებით, ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი „ჰამასის“ თავდასხმებისგან, მაგრამ მან ეს უნდა გააკეთოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

**„ყველა პალესტინელის წინააღმდეგ კოლექტიური სასჯელი იქნება უსამართლო და არაპროდუქტიული. ეს იქნება ჩვენი ინტერესებისა და მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრება“,** – აღნიშნა ბორელმა. ამასთან, ბორელმა დასძინა, რომ ყველა პალესტინელი ტერორისტი არ არის.

### ისრაელის თავდაცვის მინისტრი: ღაზა აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო!

ისრაელის თავდაცვის მინისტრის, იოავ გალანტის განცხადებით, ისრაელი ღაზის სექტორზე სრულ შეტევაზე გადადის. ამის შესახებ **იოავ გალანტმა** ღაზის სექტორის საზღვარზე მყოფ სამხედროებს განუცხადა.

**„მე მოვხსენი ყველა შეზღუდვა, ჩვენ აღვადგინეთ კონტროლი ტერიტორიაზე და გადავდივართ სრულ შეტევაზე“,** – განაცხადა გალანტმა. მისივე თქმით, ღაზა აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც იყო.

**„თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, შეცვალოთ რეალობა. ჩვენ ვნახეთ ამის ფასი და თქვენ ნახავთ ცვლილებას. „ჰამასს“ სურდა ცვლილება ღაზაში, ის ნახავს 180-გრადუსიან ცვლილებას, განსხვავებულს იმისგან, რასაც ისინი ელოდებოდნენ. ისინი ინანებენ ამ მომენტს, ღაზა აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც იყო“,...**

### თაიფ ერდოღანი: რას აკეთებს აშშ-ის ავიამზიდი ისრაელში? ის თავს დაესხმება ღაზას, მის მიდამოებს და ჩაიდენს ხოცვა-ჟლეტას

თურქეთის პრეზიდენტმა, **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** გააკრიტიკა ისრაელის მიერ ღაზის სექტორის ბლოკადა და განაცხადა, რომ ელექტროენერგიისა და წყლის შეწყვეტა ეწინააღმდეგება პალესტინელების ადამიანურ უფლებებს.

ამასთან, ერდოღანი გამოეხმაურა აშშ-ის მიერ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ავიამზიდის გაგზავნას.



# თვალი მხედველი




ვანო ჩხიკვაძის ლექსებს რომ კითხულობ, ხვდები, სამყარო არასოდეს დაკარგავს პოეტურობას.

როგორც ჩანს, არ არსებობს პოეტური დრო და პოეტური სივრცე, არსებობს პოეტი, რომელიც თვითონ ქმნის ამ დროსა და სივრცეს.

ყოველი მზერა, ყოველი რაკურსი, ყოველი გაელვება შეიძლება პოეტურ ფაქტად გადაიქცეს, ოღონდ, უბრალოდ, თვალია საჭირო, რომელიც საგნებს კი არ უყურებს, არამედ ხედავს.

თვალი მხედველი გამოარჩევს ვანო ჩხიკვაძეს თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ეს გახლავთ მისი შემოქმედების მთავარი ნიშანი. ამიტომაა მისი ლექსი მართალი, სანდო, სარწმუნო.

პოეტის სოციალური ფუნქცია, როლი, სტატუსი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ დაგვანახვოს ჩვენ თვალწინ არსებული სინამდვილე; დაგვანახვოს მთელი ეს კალეიდოსკოპი პარადოქსული მოვლენებისა, ტკივილებისა, შიშებისა და, კატასტროფებისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გადარჩენილი სიკეთისა, სილამაზისა, მშვენიერებისა.

ამ კრებულში შეხვდებით ყველა თემას, რაც დღეს საქართველოს აწუხებს, რაც მომავალშიც შეაწუხებს და რაც დარჩება მუდმივ სასიცოცხლო პრობლემატიკად.

პოეტური ნერვის ფეთქვა წიგნის სათაურიდანვე იწყება: „აჰა, ზამთარი გადასატანი“. ეს არის ერთი პატარა ლექსიდან აღებული სტრიქონი, რომელიც ავტორის პირად განაცხადს გამოხატავს, მაგრამ განზოგადების ვრცელ მასშტაბებს აღწევს და გვაკვირვებს თავისი პლასტიკურობით, სიღრმითა და ბუნებრივი უნარით – შეურწყას პირადული საზოგადოებრივს, საქვეყნოს, მარადიულს.

ვანო ჩხიკვაძე მაქსიმალურად შეიგრძნობს დღევანდელობას, თანამედროვეობის რიტმს. ხედავ კიდევაც, როგორი მგრძნობიარეა ის სამყაროს მიმართ, როგორი სიზუსტით აღიქვამს თითოეულ საგანსა და მოვლენას.

ვანო ჩხიკვაძის მსოფლხედვა გამოირჩევა პოეტურობით. ნოვალისის გამონათქვამის პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, მისთვის ლექსი არის მინიატიურაში მოცემული სამყარო, სამყარო კი – გავრცობილი ლექსი.

ის თავისი დროის შვილია, ეპოქის მხატვრული მემატიანეა. ამ გაცვეთილ სიტყვებში არის რაღაც დიადიც და საზარელიც. გააჩნია, როგორ შეხედავ, როგორ განიცდი, როგორ გადმოსცემ.

მაინც, რა განცდაა, იდგე აქ და სხვაგვარად არ შეგეძლოს? ეს მარტო მოვალეობის გრძნობა როდია. უფრო დიდია, უფრო ძლიერი, მნიშვნელოვანი, ღრმა, ღვთისმიერი.

ვანო ჩხიკვაძის ყოველი სიტყვა, ბგერა, სტრიქონი სიცოცხლით, სინამდვილით, სიცხადით სუნთქავს. რამდენადაც მძიმეა თემები, იმდენად მსუბუქია მისი ლექსის ფორმა, ინტონაცია, მახვილთა სისტემა. ენა მუშაობს მთელი თავისი ლინგვისტური სიმძლავრით.

იშვიათია რიტმისა და რითმის ასეთი ვირტუოზული ფლობა. ეს ფლობაც აღარ არის, ყოფნაა ჰარმონიის, მუსიკის, სიმეტრიისა და წყობილსიტყვაობის დაბადების სტიქიაში.

თითოეული ლექსი ლირიკული თხრობაა, რომელიც წამს, ეპიზოდს, ამბავს, სიუჟეტს – პოეზიად აქცევს, პოეტურ ფაქტად გარდაქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტის მზერა პოულობს და პირდაპირ ცხოვრებიდან ამოაქვს პოეზია – სიმართლის, მხილების, ტკივილის დოკუმენტები. ვანო ჩხიკვაძის ყოველი ლექსი გულიდან არის გამოტანილი, გულის სისხლით არის დაწერილი. ამიტომ არის, ერთდროულად, მძაფრიც და მშვენიერიც, ემოციური, საგულისხმო, მტიკვნეული და გასაგები.

მიხარია, რომ ვანოს კრებულს გოგი წერეთლის მხატვრობა ამშვენებს. გოგი, ამქვეყნიდან უდროოდ წასული ჩვენი დიდი მეგობარი, უაღრესად დახვეწილი, გემოვნებიანი ოსტატი, სწორედ იმ ტრადიციულ მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს იცავდა, რომელთა პოეტურ აპოლოგიას ვკითხულობთ მოცემულ წიგნში. გოგი, როგორც პოეტი, შესანიშნავად კითხულობდა ვანოს, როგორც მხატვრის, შემოქმედებას. მათმა თაობამაც შექმნა დრო, როდესაც პოეზია და მხატვრობა საერთო ესთეტიკურ ველში ერთიანდებოდა. ასე მგონია, ეს წიგნიც იმ ესთეტიკური ველიდან მოგვევლინა.

**ივანე ამირხანაშვილი.**

**გთავაზობთ, ვანო ჩხიკვაძის ახალი წიგნიდან, „აჰა, ზამთარი გადასატანი“, ერთ ლექსს.**

---

## ვანო ჩხიკვაძე

### მთავარი ქუჩა

(ქრონიკა)

გახსოვს, აპრილის შემოთენება,
ამოხეთქილი –
„მამულს დიდება!“
რამპის ჩირაღდნით „ლურჯი ცხენების
წითელ ბალახზე“ გაჯირითება?

გახსოვს, ტყვიების მრავალწერტილი –
მოზარე დღემდე მოთქვამს და გოდებს –
როგორც ფოთოლი,
გულგახეთქილი
ბეღურები რომ სცვიოდათ ტოტებს?

დრომ ის ტკივილი ვეღარ წალამა,
ახლაც გიხსენებ, მწარე თარიღო,
მავანმა როცა დადო კალამი
და ძმათამკვლელის თოფი აიღო.

გახსოვს, ღალატის დანის მლესავნიც:
ჩრდილოეთიდან მოსული მოგვი,
მოყვარე მტრები,
უნათესაო,
დაუფიქრებლად ვინც დედა მოგვი...
ხომ, გახსოვს-მეთქი?
მაგრამ მითხარი,
ან ამ ხსოვნაში, აბა, რა ყრია,
საღი თვალიც რომ გამოითხარო,
იგლოვებენ თუ დროშებს დახრიან.

ჩემი ქვეყნის და
ჩემი ქალაქის
ავბედით დღეთა მემატიანევ,
გადუთელიხარ ახალ ფანატებს,
კვლავ გაფიცვების ცეცხლში ტრიალებ.
ვითომ საშველად როცა მოდიან,
მგლური კბილების სიბასრეს, კაწკაწს,
შეურაცხყოფას
და ხელის გაწვნას
შენი სხეული იგრძნობს, ტოტია!

წარსულს ჩაბარდა ლაღი „ფოქსტროტი“,
მკვლელი ტყუილის ჰანგი მოწვეთავს,
თავისუფლების
ყალბი ოქროთი
იცი, ეგ ჯაჭვი ვინც გამოჭედა.

ყოფილს ახალი
შეცვლის ბატონი
და გაგრძელდება
კვლავ მარათონი!

არ იკითხავენ,
ვინ რა კაცია,
სიყვარულის გზა ვინ გადაღობა,
თავისუფლების ასიგნაციებს
ვინ აჭმევს თაღლით ლობისტს –
ბანკომატს!

რა დაგვავიწყებს,
როგორ ურქინა
წითელ მოსასხამს
წითელმა ხარმა,
მოვიდა მტერი
„გრიმით“, „უგრიმოდ“
და შენს ოცნებას
გამოჰკრა სარმა!

შეხედე-მეთქი,
როგორ იბარტყა
სულგაყინულმა,
ცრუმ და ბაქიამ,
თურმე, ნაგავი
აქეთ და იქით,
ერთნაირად ყარს –
ქაქი ქაქია!

როცა ადამის კეთილდღეობას
ვითომ მფარველობს მაძღარი კუჭი,
დაჩოქილია სულის მხნეობა,
თუ რამეს უჭირს,
სამართალს უჭირს.

დუღს კუპრის ქვაბი,
აღარ გათენდა,
თუმც ზოგი დაჭკნა,
ზოგიც მობერდა,
ახურებული მარტის კატები
ვნებებს იცხრობენ მიკროფონებთან...

აქ იყიდება
(კარგი დახლი აქვთ),
პოლიტიკოსთა „კონა აბაზად“,
„გოდების კედელს“ თავებს ახლიან
მისთვის, ცხრა წელი ვინც იჯამბაზა.

რომში იცოდნენ,
ჩვენშიც იციან,
ამ გუდამშიერ მონას რაც უნდა,
„პატრიოტობის“ აზრი კი არა,
სიტყვაც დაბლაგვდა და გადახუნდა.

რადგან ეშმაკმა ასე ინება,
აიმღვრა შენი წყნარი დინებაც.
ძველებურად რომ
ვერ იქალაქო,
უღირსთა ღორღი
გივსებს კალაპოტს.

თავისუფლება მყიფე ნაჭუჭით,
საფერებელი და დალოცვილი,
ეშმაკს დაუთმე,
თვალი დახუჭე,
შხამიან ვარდებს როცა კოცნიდი.

მითხარ როდემდე,
მითხარ სადამდე,
მიჰყვები თავაწყვეტილ სადავეს?!

კორიანტელი ფუჭი ლაყბობის,
შეხედე, დატკბი –
აჰა, ნაყოფი!

საკუთარ თავსაც ვეღარ ეწევი,
რაც შეგიცვალეს წყალი მეწყერით.

და თუ ოდესღაც წერტილად ჩანდი,
ისიც აღარ ხარ,
მწუხრის გოდება,
გიახლოვდება –
სინათლე ჩადის,
შენი დაისი არ ოქროვდება.

ამოხმა ყელი უხმო ძახილით,
ხან მალამო ხარ,
ხანაც მახვილი,
გზააბნეული მოდგმის ნახირით
დედაქალაქის მკერდში გაყრილი.

თუ გადაჯიშდა,
ხალხიც ლაფია,
რომ ატორტმანებს ქუჩის კალაპოტს,
ვით მუცელღმერთა ბელტიყლაპია
გადაგდებულ ძვალს ხრავს და ალაფობს.

წმინდა გრძნობების დაშრა აორტა,
პატიოსნება როცა დაობდა,
ბორგავს თაობა,
თუ უთაობა,
როდის წაგაქცევს ბებერ ბაობაბს.

ტარს წამოცმული მაღლა აზიდეს
საყოველთაო, ნაცნობი „ლოგო“ –
ღმერთი შერისხეს,
ისე დაწყვილდნენ,
ბიჭთან ბიჭი და
გოგოსთან – გოგო.

ბევრმა ნაშობმა შენი უბიდან
დაგგესლა,
მიკვირს – როგორ გადარჩი,
როცა დაკორტნა ჭურვმა ტუფი და
ააფცქვნა გამძლე ქვითკირს ბათქაში.

ვინც აგაოხრა თავის ურდოთი,
ვინც „გადაგხატა“ ახალ „გერნიკად“,
შავ ჯიპში იჯდა
შავი „ბულდოგი“,
თვალებზე ღვარძლის ცეცხლი ეკიდა.

„ბულდოგთან“ იდგა, ვისაც აქამდე
ერქვა კაცი და კაცი არ იყო,
ვინც დადო თავის ბერწი კალამი
და ავტომატის მჭიდი აიღო.

კიდევ რამდენი ვაიმოყვარე,
მოღალატე და პირშერცხვენილი,
ჩრდილოეთიდან მზის ამომყვანი,
რომ შეგატყუეს ტროას ცხენივით.

ბევრჯერ მოსული, შხამის ფიალით,
ხელისუფალის ჯაჭვი შეიბი,
რამდენმა მონსტრმა გადაგიარა
მაამებელთა ჭრელი შლეიფით.

ვაი, რომ დღესაც ბევრი ნატრულობს
შენს მკერდზე ახალ სისხლის
„ნატურმორტს“.

გულზე ჭრილობით,
სულში ბზარებით,
ცოცხლობ გახსნილი ნაიარევით –
ქაშვეთის ფიქალს, ნაომარ ჭადრებს,
კვლავ ტეხავთ ძველი ნატყვიარები.

ულაყებს მათრახს გადაუჭერენ –
დრო გარბის, გარბის და მიქანაობს,
ეს შემოდგომაც
გაშლის უჩვენოდ
ფოთოლცვენათა ფერად მარაოს.

დაგჩხავლებს ზამთრისპირის ბახალა,
ხმაჩახლეჩილი, ნაცნობ არიას,
იცოდე მაინც,
რა ახარხარებს,
იცოდე მაინც,
რა უხარია!...

მუდამ გახსოვდა, შენთვის მლოცველი
ღვთის წყალობა რომ ჩამობარდნიდა,
ადრე თუ გვიან,
ყრმა უცოდველი
აფრინდებოდა დედის კალთიდან.

საღამოს ლოცვა ღამისმთეველთა,
ზეცით წყალობა გვირგვინოსანის
და ანთებული საკურთხეველთან
მონანიების ცრემლი – შროშანი.

ფრთხილად, ხელახლა რომ არ
წაგლეკონ,
არ შეგაგუონ ჟამს უმოწყალოს,
აახმიანო უნდა სამრეკლო,
დარეკე ზარი:
– სად ხარ, მოძღვარო!

ივნისი, 2022

სეოკ-ში სიახლეა!

# გილოცავთ მუზეუმს და ბიბლიოთეკას!

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობაში სეოკ-ის დაფუძნების დღეს გაიხსნა ახალი ოლიმპიური მუზეუმი. 2011 წლიდან არსებულ მუზეუმს შეემატა თანამედროვე დიზაინით მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით და განათების სისტემით, სტენდებით, საექსპოზიციო ვიტრინებით, პროექტორით აღჭურვილი ახალი სივრცე 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ასევე განახლებული და მნიშვნელოვანი გამოცემებით შევსებული ოლიმპიური ბიბლიოთეკა.**

ახალი მუზეუმის და ბიბლიოთეკის მოწყობის იდეის ავტორია სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** მუზეუმის ექსპოზიციის კონცეფციის და პროექტის ავტორი – სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი,** დიზაინერი - **ვახტანგ შატაიძე.** ღონისძიება გახსნა სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა.** დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა,** ლეგენდარულმა მოჭადრაკემ, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა **ნონა გაფრინდაშვილმა,** სეოკ-ის დამფუძნებლებმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ და პაატა ნაცვლიშვილმა.**

**„ვფიქრობ, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. ახალი მუზეუმი და ბიბლიოთეკა საშუალებას იძლევა დამთვალიერებლებს ფართოდ წარვუდგინოთ ქართული სპორტის მიღწევები, ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელები, მათ მიერ მოპოვებული ჯილდოები, მოვაწყოთ საინტერესო შეხვედრები, პრეზენტაციები, გამოფენები, საიუბილეო და სხვა ღონისძიებები, ამასთანავე, სისტემატურად მოვიწვიოთ ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა თბილისიდან და რეგიონებიდან, გავაცნოთ მათ ქართული სპორტის ისტორია, დავაინტერესოთ სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესით“,** – თქვა ლერი ხაბელოვმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მარია თეოდორუ, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე მაისურაძე, თბილისის საკრებულოს წარმომადგენლები, ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორები, გარდაცვლილი ოლიმპიურ ჩემპიონ-პრიზიორების ოჯახის წევრები, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, მოქმედი სპორტსმენები, მედიის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ახალ მუზეუმში წარმოდგენილია ოლიმპიზმის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და ამბები დასაბამიდან დღემდე. მათ შორის – საინტერესო ექსპონატები, ინფორმაციული და ვიზუალური მასალები ანტიკურ და თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე, მის დამფუძნებლებზე და პრეზიდენტებზე, ოლიმპიურ სიმბოლოებზე და ცერემონიებზე, ზაფხულისა და ზამთრის ცალკეულ ოლიმპიურ თამაშებზე, კონტინენტურ და ახალგაზრდულ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე. ცალკეა წარმოდგენილი ქართული სპორტის ოლიმპიური ისტორია, ინფორმაცია სეოკ-ის დაფუძნებისა და აღიარების შესახებ, ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე და პრიზიორებზე, ჩვენს ოლიმპიურ რეკორდსმენებზე.მუზეუმში გამოიფინა ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების მედლების ასლები (სულ-133 მედალი), ქართველ მოქანდაკეთა ნამუშევრები ოლიმპიურ თემატიკაზე, სეოკ-ში დაცული თასები და სხვა ჯილდოები.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების და სეოკ-ის გენერალური სპონსორის - „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით.



ხუთი რგოლი




## თომას ბახი:

# ოლიმპიურ მოძრაობას ნათელი მომავალი აქვს

**ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) 52-ე გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც სტამბოლმა უმასპინძლა, 2023 წლის სპორტული მოვლენები განიხილეს. ხაზი გაესვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მუშაობას, რომლებმაც მაღალი სტანდარტები დააწესეს.**

**„ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ისტორიაში ეს იყო ყველაზე დატვირთული წელი. ჩავატარეთ მეტად წარმატებული ღონისძიებები, რომლებმაც, თავის მხრივ, ევროპული სპორტი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებებში ვიხილეთ ევროპის საუკეთესო სპორტსმენთა ასპარეზობა,** – განაცხადა EOC-ის პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა. **– ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის იყო ჩვენი სპორტსმენების მსახურება. მიმაჩნია, რომ საამაყოდ გვაქვს საქმე იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გავაკეთოთ ეს ყოველივე ერთად. ეს იქნა მიღწეული როგორც ევროპის, ისე, რიგ შემთხვევებში საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით და, რა თქმა უნდა, ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ერთად. ჩვენ გავაუმჯობესეთ EOC-ის და ჩვენი ღონისძიებების იმიჯი. ყოველივეს მივაღწიეთ მკაცრად გაწერილი ბიუჯეტით.“**

გენერალურ ასამბლეაზე განვლილი წლის საკვანძო საკითხებზე მოისმინეს EOC-ის გენერალური მდივნის რაფაელ პანიოცის მოხსენება, ასევე მოხსენებები ზამთრის და ზაფხულის 2023 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებზე. გარდა ამისა, უახლესი გეგმები წარმოადგინეს ზაფხულისა და ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებმა.

ასამბლეის დელეგატების წინაშე მოხსენებით და პრეზენტაციით წარსდგნენ 2025 წელს ბაკურიანში გასამართავი ზამთრის ახალგაზრდული ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები. მათ დეტალურად ისაუბრეს ბაკურიანის სამზადისზე, შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოებზე, წარმოადგინეს შესაბამისი ვიზუალური მასალა.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეის მსვლელობისას პიოტრ ნუროვსკის სახელობის ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ნომინაციაში გამარჯვებულებად გამოცხადდნენ გერმანელი ტანმოვარჯიშე დარია ვარფოლომეევა და თურქი მოცურავე კუზეი ტუნჩელი. აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენმა გამოკითხვაში ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვა. ამიტომაც პირველად ისტორიაში ჯილდო ერთბაშად ორ სპორტსმენს გადაეცა.

გენერალურ ასამბლეაზე დამსწრეთ მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმაც. IOC-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა მოვლენებით გაჯერებულ წელს, რომლის ხილვის საშუალებაც ჰქონდა ევროპულ სპორტს. ასევე მადლობა გადაუხადა EOC-ს მომავლისკენ სწრაფვაში, განსაკუთრებით მდგრადობის სფეროში და შეაქო ევროპელი სპორტსმენები, რომლებმაც 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კვალიფიკაცია გაიარეს.

**„ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმით, რასაც წლის განმავლობაში მივაღწიეთ. ჩვენ მომავალში უნდა ვიყუროთ და ჩვენს წინაშე არსებული ამოცანები განვსაზღვროთ. რა თქმა უნდა, არის ერთი სფერო, რომლის მიმართაც ერთგულია ოლიმპიური მოძრაობა და ეს არის მდგრადი განვითარების მიზნები. მსურს მადლობა გადავუხადო EOC-ს, გაეროს სპორტში კლიმატის მხარდაჭერის პროგრამაში გაერთიანებისთვის, რომელიც IOC-ის მიერ გაეროსთან ერთად იყო ინიცირებული. ოლიმპიურ მოძრაობას ნათელი მომავალი აქვს, მაგრამ შეგვიძლია, რომ ის უფრო ნათელი გავხადოთ, თუკი არა მხოლოდ ვისაუბრებთ ოლიმპიურ დევიზზე, არამედ მისით ვიცხოვრებთ. მოგიწოდებთ, ცხოვრებაში გავატაროთ ახალი ოლიმპიური დევიზი, რათა სწრაფად ცვალებად სამყაროში სწრაფად ვიმოქმედოთ, ვისწრაფოდეთ მაღალი მიზნებისთვის და ვიყოთ უფრო ძლიერები. ყოველივეს მიღწევა შესაძლებელი იქნება თუ ყველა ერთად სოლიდარულად დავდგებით.“**

სავარაუდოდ, მეოთხე ევროპული თამაშების მასპინძელი იქნება სტამბოლი. როგორც თურქული მეგაპოლისის მერმა ეკრემ იმამოღლუმ საზეიმო მიღებაზე აღნიშნა, სტამბოლი დაინტერესებულია, რომ 2027 წლის თამაშები მათ ქალაქში გაიმართოს.

საოქტომბრე ფანჯარა

# ამხანაგურიც, ოფიციალურიც

**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ოქტომბრის მატჩებისთვის მოსამზადებლად თბილისში შეიკრიბა.**

ვილი სანიოლის გუნდი 12 ოქტომბერს ამხანაგურ მატჩში ტაილანდს დაუპირისპირდება, 15 ოქტომბერს კი ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას კვიპროსის წინააღმდეგ გამართავს.

შეკრების პირველ დღეს ჩვენმა გუნდმა არასრული შემადგენლობით ივარჯიშა, რადგან საწვრთნელ პროცესში მხოლოდ 15 ფეხბურთელი მონაწილეობდა: გიორგი ლორია, გიორგი მამარდაშვილი, ლუკა გუგეშაშვილი, სოლომონ კვირკველია, ალექსანდრე კალანდაძე, ირაკლი აზაროვი, ნიკა კვეკვესკირი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, გიორგი ქოჩორაშვილი, ანზორ მექვაბიშვილი, ლევან შენგელია, გიორგი ჩაკვეტაძე, ზურიკო დავითაშვილი, დავით ვოლკოვი, ბუდუ ზივზივაძე, სრული ვერსია კი ასეთია.

**მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო თბილისი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი).**

**მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვირკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა), ივა გელაშვილი (სპეცია, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო თბილისი).**



**ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ვალენსია, ესპანეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბათუმი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბილისი), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა იუნაიტედი, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი).**

**თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია).**

შეგახსენებთ, რომ ვილი სანიოლის გუნდი დღეს ამხანაგურ მატჩში ტაილანდის ნაკრებს დაუპირისპირდება (20 საათი), 15 ოქტომბერს, ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფარგლებში კი, საქართველოს ნაკრები კვიპროსს უმასპინძლებს (17 საათი). ორივე მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

# ყველაზე დიდი სიწმინდე

## მცხეთობა – სვეტიცხოვლობა



**14 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და ქართველი ხალხი დღესასწაულობს საუფლოისა და კვართისა, აგრეთვე ღვთაებრივ ბრწყინვალე დღეს, იგივე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას.**

...საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი მართლმადიდებლური სიწმინდე არის სვეტიცხოველი!

თავდაპირველად სვეტიცხოველი ხის ყოფილა. მშენებლობისას თურმე ერთი ბოლო სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, მაგრამ წმინდა ქალწულ მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის ნელნელა დაუშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფალი იესო ქრისტეს კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი!

ნიშანდობლივია, რომ სანამ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მღვდელნი ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სიხარულით ისტუმრა იოანე ეპისკოპოსი, ხოლო კონსტანტინე დიდმა ქრისტეს რჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ფრიად საინტერესოა, რომ წმინდა ნინოს რჩევით ერთი ჯვარი აღიმართა თხოთის მთაზე, მეორე – უჯარმაში, მესამე ჯვარი კი – არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე. როცა ეს პატიოსანი ჯვარი მცხეთაში აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით ტაძარში, სადაც საქართველოს გაბრწყინება გაცხადებული, განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება მსახურთა მიერ!

**გიული ლიპარტია**

### ზაზა ლომინაძე:

## სადეკრეტო შვებულების ანაზღაურება 2500 ლარამდე გავზარდოთ!



**შემოვდივართ წინადადებით, რომ სადეკრეტო შვებულების ანაზღაურება 2500 ლარამდე გაიზარდოს, რომ ოჯახებს გარკვეული სტიმული მივცეთ,** – ამის შესახებ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზაზა ლომინაძემ კომიტეტის სხდომაზე გუშინ განაცხადა, სადაც განიხილეს „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტი თანდართულ მასალებთან ერთად. ზაზა ლომინაძის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი ორიენტირებულია ჯანდაცვასა და სოციალურ საკითხებზე და მათზე მიმართულია 7,8 მილიარდ ლარზე მეტი.

**„ამ თანხიდან პრაქტიკულად 4 მლრდ ლარი მიემართება საპენსიო ანაზღაურებაზე. მისასალმებელია, რომ საპენსიო ანაზღაურება იმატებს როგორც ქალაქში მცხოვრებლებისთვის, ასევე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის. არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ ბიუჯეტი ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ ბავშვებზე. აღსანიშნავია, რომ გრძელდება სკოლების და ბაღების მშენებლობა, რისთვისაც საკმაოდ დიდი ასიგნებებია გამოყოფილი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, თუ რა მდგომარეობაა მთელ მსოფლიოში, ალბათ მეტი თანხები უნდა გავითვალისწინოთ თავდაცვისათვის“,** – განაცხადა ზაზა ლომინაძემ.



## კალიების მართვისა და კონტროლის სისტემებიც გვჭირდება!

**საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორი საბინე მახალი, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, „კალიების წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის“ მიმდინარეობას გაეცნო.**

გაეროს წარმომადგენლებმა რეგიონში მობილიზებული სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალიზებულა ტექნიკა დაათვალიერეს.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოვისმინოთ ფერმერების აზრი იმ პროგრამის ეფექტიანობის შესახებ, რომელიც საქართველოში ამჟამად ხორციელდება და რომელიც კალიებთან ბრძოლის ახალ მეთოდებს მოიცავს“,** – აღნიშნა გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა, საბინე მახალიმ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში წარმატებით დაინერგა კალიების მართვისა და კონტროლის სისტემები, ამ მიმართულებით აღინიშნება ხელშესახები შედეგებიც. გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაცია, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, აღნიშნულ პროგრამას 2011 წლიდან ახორციელებს.

## რუსები, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინას, ციმბირში უნდა გადავასახლოთ!

**რუსები, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინას და დატოვეს ქვეყანა, შორეულ აღმოსავლეთში უნდა გააგზავნონ,** – ამის შესახებ რუსეთის დუმის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ **ვიაჩესლავ ვოლოდინმა** განაცხადა.

მისი თქმით, იმ რუსმა მოქალაქეებმა, რომლებიც უკრაინის მხარეს გადავიდნენ, უნდა იცოდნენ, რომ მას სამშობლოში კარგად არ მიიღებენ.

**„მათ, ვინც დატოვა ქვეყანა და ჩაიდინა საზიზღარი ქმედებები, უხაროდათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დარტყმები, გამარჯვებას უსურვებდნენ კიევის სისხლიან ნაცისტურ რეჟიმს, უნდა გააცნობიერონ, რომ მათ აქ არავინ ელოდება – მაგრამ თუ დაბრუნდებიან, მათ მაგადანის ოლქში გადავასახლებთ“,** – აცხადებს ვოლოდინი.

## გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რუსეთი ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად აღარ მიიღო

**რუსეთის ფედერაცია არ არის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2024-2026 წლების 15 წევრს შორის. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 10 ოქტომბერს რუსეთი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად არ აირჩია.**

მანამდე, სექტემბრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ რუსეთი კვლავ ცდილობდა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში შეერთებას. **BBC**-მ მოიპოვა დოკუმენტის ასლი, სადაც რუსეთი გაეროს წევრებს კენჭისყრაში მხარდაჭერას სთხოვდა, თუმცა როგორც ჩანს, მათ ეს თხოვნა არ გაითვალისწინეს.



## რუსთავში, აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

**რუსთავის მერიამ, ქალაქში ახალი საგზაო ინფრასტრუქტურისა და შიდა საუბნო საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის მიზნით, კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი დაიწყო.**

პროექტი, აფხაზეთს ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის, ველობილიკების, სანიაღვრე ქსელის, ტროტუარების, გარე განათების, სარწყავი სისტემისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს.

რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, გუშინ აფხაზეთის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს, ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

**ინფრასტრუქტურული პროექტის დაწყებამდე, კომპანია GWP-იმ ქალაქის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში, აფხაზეთის ქუჩაზე, 500 მეტრი სიგრძის მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელი განაახლა, ამავე ქსელზე მოეწყო 12 ერთეული ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული და 6 საკვანძო ჭა.**

## გორელებო, გაუფრთხილდით ქართლის გულს!

**გორში საერთო სარგებლობის სივრცეებში ინფრასტრუქტურა დააზიანეს.** დაზიანებული ინვენტარი – საგზაო ნიშნები, გარე განათების ბოძები, დეკორატიული სკამები და ხე – მცენარეები განთავსებულია ქალაქის ცენტრში. ინფორმაციას გორის მერია ავრცელებს.

**„გორის მუნიციპალიტეტის მერია კიდევ ერთხელ მიმართავს თითოეულ მოქალაქეს თხოვნით, რომ გაუფრთხილდნენ საერთო სარგებლობის სივრცეებს. უწყების განცხადებით, საცხოვრებელ გარემოზე ზრუნვა თითოეული მოქალაქის მოვალეობაა და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ქალაქის სიჯანსაღესა და იერსახეზე“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.



## პროკურატურამ ორი ნოტარიუსი და ნოტარიუსის თანაშემწე დააკავა

**საქართველოს პროკურატურამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებაში დახმარების ფაქტზე სამი პირი დააკავა. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორი ნოტარიუსი და ნოტარიუსის თანაშემწე ბინების დაგირავებით დაინტერესებული პირების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლებაში დახმარებას უწევდნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, რომლებიც დაზარალებულებს მაკლერებად ეცნობოდნენ და ბინების დაგირავებას სთავაზობდნენ. ისინი მათ ბინის მესაკუთრეებად და ხელშეკრულების მხარედ ამავე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს აცნობდნენ, ხოლო ნდობის მოპოვების მიზნით, ხელშეკრულებებს ბრალდებულებთან ნოტარიულად ამოწმებდნენ.**

ნოტარიუსებმა და ნოტარიუსის თანაშემწემ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისთვის დახმარების მიზნით, სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაზარალებულებს არ განუმარტეს სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები. ბრალდებულებმა დაზარალებულ 94 პირს სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულების ნაცვლად, რომლითაც მოწესრიგებული იქნებოდა ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, დაზარალებულთა საკუთრებაში ბინის გადაცემის საკითხი, მოტყუებით სესხის ხელშეკრულებები გაუფორმეს. ნოტარიუსები თითოეული ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისგან გარკვეულ თანხას იღებდნენ. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, ნოტარიუსების დახმარებით, 94 დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით, 2 686 700 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ცვლილება

# ხვანჭკარა

(რეგ. №1; თარიღი: 14.07.2005 წ.)

სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 29 სექტემბრის №8335/06 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „ხვანჭკარა“ წარმოების სპეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ერთ ცენტრალურ და ერთ ადგილობრივ გაზეთში.

მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები აისახება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

სპეციფიკაციის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**15. გარდამავალი დებულებები**

ამ წარმოების სპეციფიკაციის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად, ყურძნის გადამუშავება და ღვინის წარმოება დასაშვებია ხვანჭკარას მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, 2024 წლის დეკემბრამდე.

# „გამომყევი აჭარაში“, სულში უნდა ჩეგეფუნჩხო...

**შიდა ტურიზმის მასტიმულირებელი კამპანია „გამომყევი აჭარაში“ დასასრულს უახლოვდება. ამ ეტაპზე, სოციალურ ქსელებში აჭარაში მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულ კონტენტს 50 მილიონზე მეტი წვდომა აქვს.**

კამპანიის ფარგლებში, ქართველი ინფლუენსერები, ფოტოგრაფები და ბლოგერები რეგიონში მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და რეკომენდაციებს გამომწერებს აქტიურად უზიარებენ. კამპანია „გამომყევი აჭარაში“, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა, რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულებების პოპულარიზაციის მიზნით აგვისტოში დაიწყო 15 ოქტომბერს დასრულდება.



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი კამპანიის „გამომყევი აჭარაში“ შედეგებს ოქტომბრის ბოლომდე შეაჯამებს და გამოავლენს გამარჯვებულებს. კამპანიის მთავარ პრიზს 100 000 ლარს მოიგებს ის მონაწილე, რომელიც კამპანიის პერიოდში აჭარაზე გამოქვეყნებული პოსტებით, ვიდეოებითა და რილსებით დააგროვებს მაქსიმალურ წვდომას, რაც ჯამში უნდა აღემატებოდეს 10 მილიონ წვდომას (Reach). გამარჯვებულის შემდეგ მაქსიმალური წვდომების მქონე ხუთეულს კი 20 000 – 20 000 ლარის მოგების საშუალება ექნება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა კამპანია „გამომყევი აჭარაში“ რეგიონის მიმზიდველი, მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციისა და ქართველი ბლოგერ/ინფლუენსერების ჩართულობით შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით დაიწყო.



# ოთარ შამუგია: ტრადიცია, კულტურა და ცოდნა ხელს გვიწყობს, ვიზრუნოთ ტყეების მოვლასა და შენარჩუნებაზე...

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ბოტანიკურ ბაღში, მეტყევის დღე აღინიშნა.**

სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა ოთარ შამუგიამ მეტყევეებს პროფესიული დღე მიულოცა და სატყეო სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

„ღონისძიებაზე გამოვლინდა წლის წარმატებული მეტყევეებიც, რომლებსაც განსაკუთრებულად რთული და რისკის შემცველი საქმიანობისთვის ჯილდოები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

**„საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტრადიცია, კულტურა და ცოდნა ხელს გვიწყობს, ვიზრუნოთ ტყეების მოვლასა და შენარჩუნებაზე. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა სატყეო სექტორში.**

**ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების და მხარდამჭერების დახმარებით, ეტაპობრივად ვცდილობთ იმ პრობლემებთან გამკლავებას, რაც დიდი ხნის განმავლობაში იყო დაგროვილი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ნამდვილად გვაქვს ის შედეგები, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ქვეყანასა და მის მოსახლეობას“**, – აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

# „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი - შედეგები და სიახლეები“

**კონფერენციის პირველი დღე „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის“ არქეოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის, დენდროლოგიის, აგროკლიმატოლოგიის, მეღვინეობის და მევენახეობის მიმართულებებით განხორციელებული კვლევების შედეგების განხილვას მიეძღვნა.** ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**„მონაწილეებმა მსოფლიოს სხვადასხვა მკვლევრების და ინსტიტუტების კვლევებზე, მათ შორის, გადაჭრილი გორის და შულავერის გორის არქეოლოგიური გათხრების შედეგების მნიშვნელობაზე იმსჯელეს. აღნიშნული კვლევები ხსნის ველური ვაზის კულტურული ვაზისკენ გადასვლის ეტაპებს, ვაზის დომესტიკაციას ბიოლოგიური შესწავლის საშუალებით. კვლევები ასევე მოიცავს გლობალურ ხედვას ქართული ვაზისა და ღვინის ადგილსა და როლზე მსოფლიოში.**

**სწორედ აღნიშნული კვლევების საფუძველზე ხდება ქართული მევენახეობა მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი განვითარების რეკონსტრუქცია და მთლიანი სპექტრის წარმოჩენა.**

**აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაარსებული „ღვინის დღეების“ ფარგლებში, 10-12 ოქტომბერს, თბილისი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი – შედეგები და სიახლეები“ მასპინძლობს. კონფერენცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ტარდება და მას მსოფლიოს 11 ქვეყნიდან (საქართველო, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი, აშშ, კანადა, ისრაელი, ბრაზილია, სამხ.აფრიკა, ხორვატია) 22 მეცნიერი, მკვლევარი და ექსპერტი ესწრება“.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6960; ევრო - 2.8586;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3126;
100 რუბლი - 2.6757; თურქული ლირა - 0.0966;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5749;
1000 სომხური დრამი - 6.8063

**ამინდი 12 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +16 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge